1986

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1986

სექტემბერი № 9 СЕНТЯБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1986

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა წარმოებას 13.11.86 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.12.86 წ.;
ქაღალდის ზომა 60×84; ანაწყობის ზომა 6¹/₄×9; ნაბეჭდი თაბახი 6;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,25.
შეკვეთა № 1017 უე 10396 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения Грузинской ССР, ул. Нуцубидзе № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება

### საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ექსპერიმენტული მუშაობის ორგანიზაციის მოწესრიგების შესახებ

E-5400

ითვალისწინებს რა ექსპერიმენტული მუშაობის როლს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის საქმეში, გამომდინარე ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების ამოცანებიდან, კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მიმდინარე ექსპერიმენტებმა ხელი შეუწყვეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, უზრუნველყვეს მისი სათანადო მეცნიერულ დონეზე წარმართვა. ამასთან, როგორც დაკვირვება ცხადყოფს, მის ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ ექსპერიმენტებს უკვე საკმაო დიდი ხნის ისტორია აქვს, დღემდე ნათლად არ არის გამოკვეთილი მათი დანიშნულება, მეცნიერული და პრაქტიკული სარგებლიანობა. ექსპერიმენტული მუშაობისათვის, რიგ შემთხვევებში, დამახასიათებელია სტიქიურობა, თვითდინება. ჯერ კიდევ მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი ექსპერიმენტებისადმი ხელმძღვანელობაში ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, როგორც მეცნიერული კვლევის ცენტრის, წამყვანი როლი. ამ საქმისადმი ხელმძღვანელობას სუსტად ახორციელებდა განათლების სამინისტრო, რომლის დამოკიდებულებას ექსპერიმენტული მუშაობის ორგანიზებაში დღემდე ახასიათებს გაუპიროვნება და, აქედან გამომდინარე, მთელი რიგი ნაკლოვანებები. პრაქტიკაში არ არის დანერგილი ექსპერიმენტის შემოღების, განზოგადების წესი, საკითხი წყდება სამინისტროს ხელმძღვანელობისა და კოლეგიის გვერდის ავლით. სავალდებულოდ არ არის მიჩნეული მომავალი ექსპერიმენტის საჭიროების დასაბუთება, სავარაუდო შედეგების განსაზღვრა, მისი მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად ანგარიშების მოსმენა. ექსპერიმენტის დანერგვა-განზოგადების საქმეში თითქმის არაფერს აკეთებს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, მეთოდური სამსახური. ხშირად გაურკვეველია ექსპერიმენტის თემატიკა და არ გამოხატავს მის შინაარსს, დანიშნულებას.

სკოლებში მიმდინარე ექსპერიმენტებისადმი დამოკიდებულების შეცვლის, მათი ორგანიზაციის მოწესრიგების მიზნით, კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მიღებულ იქნეს ცნობად სკოლების სამმართველოს ინფორმა-ცია რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მიმდინარე ექს-პერიმენტულ მუშაობაში არსებული სერიოზული დარღვევების შესა-ხებ.

2. არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს ამ საქმისადმი სამინის-ტროს, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სა-მეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტისა და რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის ხელმძღვანელობა.

3. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მიმდინარე ექსპერიმენტული მუშაობის შინაარსისა და ორგანიზაციული ფორმე-ბის გარკვევისა და სრულყოფის მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ლ. გაგუა — მინისტრის პირველი მოადგილე, თავმჯდომარე

გ. გორგოშიძე — მინისტრის მოადგილე

ე. ქურციკიძე — სკოლების სამმართველოს უფროსი

თ. ტატიშვილი — საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამ-მართველოს უფროსი

ჰ. ჩხენკელი — სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე

ნ. ღლონტი — სახელმძღვანელოების სამმართველოს უფროსი

შ. ამონაშვილი — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეც-ნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

ლ. ჩიქვანაია — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეც-ნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოად-გილე

ქ. მაჭარაშვილი — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მო-ადგილე

მ. დარჩია — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტი-ტუტის დირექტორი

მ. ვოგიტაძე — განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სას-წავლო-მეთოდური კაბინეტის დირექტორი

ვლ. გაგუა — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი

კ. სუჯაშვილი — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართვე-ლოს უფროსი

ი. კოტეტიშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანა-მშრომელი, დოცენტი

მ. ჩინჩალაძე — სამინისტროსთან არსებული სკოლათმცოდნეო-ეროვნული ბიბლიოთეკა
ბის სასწავლო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, დოცენტი

კომისიამ (ამხ. ლ. გაგუა) შეიმუშაოს და 20 აგვისტომდე წარმოადგინოს წინადადებები ექსპერიმენტების ჩატარების ორგანიზაციის მოწესრიგების შესახებ, მანვე 1-ლ ნოემბრამდე კოლეგიას წარმოუდგინოს ანგარიში შემოწმების შედეგებისა და ექსპერიმენტების შინაარსის სრულყოფის თაობაზე.

4. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვახაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინფორმაცია

## საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ექსპერიმენტების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ექსპერიმენტების მოწყობის პრაქტიკა სათავეს ღებულობს 1964 წლიდან ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის (ხელმძღვანელი აწ განსვენებული პროფ. ბ. ხაჭაპურიძე) ინიციატივით. თავის მხრივ ექსპერიმენტული კვლევის მეთოდიკა თავდაპირველად (1964—1975 წ. წ.). სამ საფეხურად დაიგეგმა. პირველ საფეხურზე ლაბორატორიული წესით შემოწმდა სწავლების შინაარსისა და სასწავლო პროცესის შეცვლის შესაძლებლობა; II საფეხურზე ექსპერიმენტმა რამდენიმე კლასში გადაინაცვლა, ხოლო მესამე საფეხურზე რამდენიმე რაიონი მოიცვა. როგორც ამის შესახებ ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექციის ინფორმაცია გვაუწყებს, ამ საფეხურზე დამუშავდა ექსპერიმენტული პროგრამები და სახელმძღვანელოები, რომელთა ნაწილი მასობრივ პრაქტიკაში დაინერგა. ექსპერიმენტული კვლევის ინსტიტუტისეული სტრუქტურა. აღნიშნულია ზემოხსენებულ ინფორმაციაში, შეესაბამებოდა რსფსრ სკოლებში მიმდინარე მასობრივ ექსპერიმენტს, რომელსაც აკად. ლ. ვ. ზანკოვი ხელმძღვანელობდა. 1975 წელს ლაბორატორიამ დაასრულა ექსპერიმენტული სასწავლო პროცესის აგება ე. წ. „საერთო განვითარების იდეის“ შესაბამისად.

1965—1966 სასწავლო წლიდან ექსპერიმენტები ექვსწლიან ბავშვთა სწავლებასთან იყო დაკავშირებული ჯერ საბავშვო ბაღის, შემდეგ კი სკოლის პირობებში.

1967—1968 სასწავლო წლიდან ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს საბაზო სასწავლო დაწესებულებად გამოეყო განათლების სამინისტროს 1-ლი ექსპერიმენტული საშუალო სკოლა (ყოფილი დირექტორი ამხ. ლ. ჩიქვანაია).

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 1976—1980 წლებში ხდებოდა ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიაში დაგროვილი გამოცდილების განზოგადება, იქმნებოდა მასობრივი პრაქტიკისათვის განკუთვნილი საცდელი პროგრამები, სახელმძღვანელოები, მეთოდიკური რეკომენდაციები. 1981—1985 წლებში კი ლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორატორია იკვლევდა უმცროს კლასებში სწავლების მოტივაციის ჩამოყალიბების პირობებს და შესაბამისად სრულყოფდა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, აღზრდისა და სწავლების შინაარსს. როგორც განათლების სამინისტროში წარმოდგენილ ინფორმაციაშია მითითებული, ექსპერიმენტული კლასების მოსწავლეთა ცოდნის სიღრმე და ხარისხი, კითხვის ჩვევები, წერითი მეტყველების შესაძლებლობანი, მათემატიკურ უნართა ფლობა, რუსული მეტყველების დონე, საერთო განვითარებულობა, სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულება, სასწავლო აქტივობა საგრძნობლად აღემატებოდა საკონტროლო კლასების მოსწავლეთა იგივე მონაცემებს. 1976—1978 წლებში ინსტიტუტმა 1-ლ ექსპერიმენტულ საშუალო სკოლაში განახორციელა პროფილური სწავლების ექსპერიმენტი, რომელიც განათლების სამინისტრომ 1978 წელს შეწყვიტა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ 1965 წელს განიხილა საკითხი „დაწყებით კლასებში სწავლების სისტემის სრულყოფის პრობლემებზე პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის კვლევითი მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ (ბრძანება № 834, წ1.07.65). აღნიშნული დოკუმენტი ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიას (პროფ. ბ. ხაჭაპურიძე) ავალებდა გაეგრძელებინა შემდგომი ექსპერიმენტული კვლევა დაწყებით კლასებში სწავლებისა და აღზრდის სისტემის გარდაქმნის პრობლემასთან დაკავშირებით და მეცნიერული ანალიზი გაეკეთებინა ექსპერიმენტული კვლევის შედეგებისათვის, დაემუშავებინა საექსპერიმენტო პროგრამები და სათანადო სასწავლო მასალა ექსპერიმენტის განგრძობისათვის.

„ექსპერიმენტული დაწყებითი კლასების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ“ განათლების სამინისტროს მიერ 1967 წლის 24 ივლისის № 946 ბრძანებაში კი აღნიშნული იყო, რომ „ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიამ კვლევის შედეგები აქციოს ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერთა და პედაგოგთა ფართო განხილვის საგნად“, იქვე მითითებული იყო საჭიროება და აუცილებლობა იმისა, რომ ექსპერიმენტული კვლევის შედეგები თეორიულად ყოფილიყო დამუშავებული და დასაბუთებული.

როგორც აქ მოტანილი ორი წლის ინტერვალით დაშვებული ბრძანებების ტექსტები მეტყველებს, 1965 წლიდან 1967 წლამდე ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიას არ გაუკეთებია სათანადო მეცნიერული ანალიზი ექსპერიმენტული კვლევის

შედეგებისათვის, თორემ 1967 წელს დაშვებულ ახალ ბრძანებაში აღარ იქნებოდა იმის საჭიროება, რომ კვლავ დასმულიყო ანალიზის საკითხი ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის წინაშე.

„საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტურობის შემოწმების შედეგების შესახებ“ განათელბის მინისტრის 1975 წლის 4 მაისის № 362 ბრძანების საკონსტატაციო ნაწილში მითითებულია, რომ ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორია აწარმოებს მნიშვნელოვან ექსპერიმენტულ მუშაობას ექვსწლიან ბავშვთა სწავლების შინაარსისა და მეთოდიკის საკითხებზე“, ხოლო 1976 წლის 21 ივლისის № 704 ბრძანებაში „საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორულ-პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცკ-ის დადგენილების შესასრულებლად ქ. თბილისის სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის მიმდინარეობის შესახებ“ მითითებულია აუცილებლობა იმისა, რომ შედგეს ბრიგადა ცნობილ პედაგოგ-მეცნიერთა და სკოლების მოწინავე პრაქტიკოს-პედაგოგთა შემადგენლობით, რათა უფრო ღრმად და ზედმიწევნით ყოფილიყო შესწავლილი ექსპერიმენტული სწავლების დაგროვილი გამოცდილება და შემუშავებული რეკომენდაციები შედეგების ფართო, ყოველმხრივი განხილვისათვის, რათა საჭიროდ მიჩნეულ სიახლეებს მისცემოდათ რეკომენდაცია მასობრივ სკოლებში გამოსაყენებლად და დასანერგად.

აღნიშნული ადგილები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ადრინდელი ბრძანებებიდან იმიტომაც მოვიტანეთ საილუსტრაციოდ, რათა კიდევ ერთხელ ხაზგასმით გვეჩვენებინა ის, თუ ჯერ კიდევ მაშინ, რა მწვავედ იდგა საკითხი ექსპერიმენტული მუშაობის ძირფესვიანი შესწავლის, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების აუცილებლობის შესახებ. სამწუხაროდ, მეტნაკლებად სრულყოფილი და მეცნიერულად ღრმად დასაბუთებული ანალიზი ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსეპრიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის ეგიდით წარმოებული საექსპერიმენტო მუშაობისა. დღემდე არ არსებობს. თუმც ყოველივე ზემოხსენებული როდი ნიშნავს იმას, რომ საკვლევაძიებო მუშაობის ესა თუ ის საკითხი არ იმსახურებდა ყურადღებასა და გარკვეულ პროფესიულ ინტერესს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ იკმარებს თუნდაც ის, რომ სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ 1981 წლის 17 აპრილს განიხილა საკითხი: «Об опыте экспериментального обучения шестилетних детей в подготовительном классе школы в условиях пятидневной учебной недели» და მიიღო გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყვეტილება: «Одобрить экспериментальную работу, проводимую в школе № 1 г. Тбилиси лабораторией экспериментальной дидактики НИИ педагогических наук Министерства просвещения Грузинской ССР, по обучению шестилетних детей в подготовительных классах в условиях пятидневной учебной недели».

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ 1979 წლის 3 თებერვალს განიხილა ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელობით მიმდინარე ექსპერიმენტის ავ-კარგი და გამოიტანა გადაწყვეტილება ექსპერიმენტის შეწყვეტის თაობაზე. მიუხედავად ამისა, ექსპერიმენტი კვლავ გრძელდებოდა, ხოლო განათლების სამინისტროსათვის აღნიშნული მუშაობა უმართავი გახდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტს საბაზო სასწავლო დაწესებულებად გამოეყო მე-3 ექსპერიმენტული საშუალო სკოლა. ამავე წლიდან იწყება აღნიშნული ინსტიტუტის პედაგოგიური ფსიქოლოგიის განყოფილების (ხელმძღვანელი აწ განსვენებული პროფ. შ. ჩხარტიშვილი) ექსპერიმენტული მუშაობა ზემოხსენებულ სკოლაში რომელიც მიზნად ისახავდა სწავლების ფსიქოლოგიური კანონზომიერების დადგენასა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას სწავლების ოპტიმიზაციისათვის, მისი ძირეული გარდაქმნისათვის. პედაგოგიური ფსიქოლოგიის განყოფილებასთან შეიქმნა დაწყებითი სწავლების, პროფორიენტაციის, მეორე ენის შესწავლისა და არასრულწლოვანი დამნაშავის ქცევის შემსწავლელი ლაბორატორიები. შესწავლისა და დაკვირვების საგანს წარმოადგენდა ბავშვი სასკოლო სიტუაციაში, რაც თავის მხრივ წარმოადგენდა ფსიქოლოგიის, როგორც დარგის, მისვლას, მის ქმედით ჩარევას პრაქტიკის მიერ წამოჭრილი საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში. ექსპერიმენტული მუშაობა მიმდინარეობდა პარალელურად დედაქალაქის მე-2 ექსპერიმენტულ საშუალო სკოლაშიც და იცდებოდა ერთდროულად ექსპერიმენტის სხვადასხვა ვარიანტი, რაც სწრაფი და დროული განზოგადების საშუალებას იძლეოდა.

მეორე ენის (ინგლისური და რუსული) შესწავლა ექვსწლიანი ბავშვების მიერ არასასწავლო ქცევაში, რაც გახანგრძლივებულ ჯგუფებში თამაშის გზით წარმოებდა, ორი წლის განმავლობაში უქმნიდა ბავშვებს სათანადო სამეტყველო ბაზას, რაც ქმნიდა საფუძველს ამ ბავ-

შების მიერ ენების (შესაბამისად რუსული ან ინგლისური) სასწავლო ქცევაში დაუფლებისათვის. ამ ენების გაძლიერებული შესწავლა სკოლაში იწყებოდა სწავლების მესამე (რეფორმამდელი მეორე კლასი) წელს.

როგორც მეცნიერებათა კანდიდატი ი. კოტეტიშვილი წერს, მიღებული შედეგები შეისწავლა და მოიწონა განათლების სამინისტრომ, მაგრამ მის მასობრივ დანერგვაზე უარი განაცხადა დამატებით ფინანსირებაში სიძნელეების მოტივით.

აქაც საქმე გვაქვს ექსპერიმენტული მუშაობის იმგვარ პრაქტიკასთან, როცა კვლევის შედეგების (რა თქმა უნდა მისაღები შედეგების) შეფასებისა თუ მასობრივად დანერგვის საკითხების გადაწყვეტა არ ხდება სათანადო ინსტანციებში საფუძვლიანად მომზადებული და განხილული დოკუმენტების მეშვეობით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოხსენებული და სხვა სახის ექსპერიმენტული მუშაობის შედეგად მოპოვებული და მეცნიერულად ღირებული ესა თუ ის დასკვნა ხშირად გაუგებარია რიგითი პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის, ხოლო ამა თუ იმ მეთოდების მისაწვდომობის და გათავისებისათვის არ უზრუნიათ არც განათლების სამინისტროს და არც ექსპერიმენტატორ სპეციალისტებს. მხედველობაში გვაქვს მეთოდიკური რეკომენდაციების შემუშავება-განხილვა და მასწავლებლებისათვის დროული მიწოდებისათვის ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორით გაპირობებული შეფერხებებით აღსავსე დღემდე არსებული პრაქტიკა. უფრო მეტიც, ექვსწლიანთათვის განკუთვნილი, მრავალჯერ აპრობირებული და შემოწმებული მათემატიკის პროგრამა პედაგოგიური ფსიქოლოგიის განყოფილებას მზად ჰქონდა ჯერ კიდევ 1978 წლისათვის, რომელიც განსახილველად წარუდგინა განათლების სამინისტროს და ამით დამთავრდა ყველაფერი.

აქ წარმოდგენილი ინფორმაცია ეყრდნობა ი. კოტეტიშვილის მოხსენებით ბარათში წარმოდგენილ მასალას. სხვა საქმეა რამდენად სწორია და ობიექტური ზემოხსენებული კონსტატაცია ფაქტებისა, ოღონდ ერთი რამ აშკარაა, საჭიროა დროულად მოწესრიგდეს ექსპერიმენტული მუშაობის ყველა სფერო, მოხდეს აღნიშნული საექსპერიმენტო მუშაობის კოორდინაცია, შემუშავდეს სათანადო რეგლამენტი, რომელიც უზრუნველყოფს, ხატოვნად რომ ვთქვათ, კონვეიერის „მეცნიერება — სკოლას" შეუფერხებელ მუშაობას, და თავის მხრივ წაადგება მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის საკითხს, უპასუხებს სასკოლო რეფორმით გათვალისწინებული გარდაქმნის დაჩქარებას.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1977 წლის 31 ოქტომბრის № 747 ბრძანებით ქართულ სკოლაში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების მიზნით ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ

ელექტრონული ბიბლიოთეკა

მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს დაევალა ექსპერიმენტის ჩატარება ეგრეთ წოდებული რუსული ენის „კონცენტრირებული სწავლების“ გზით, რომელიც ერთდროულად რესპუბლიკის ოთხ სკოლაში მიმდინარეობდა.

1978 წელს ექსპერიმენტულ მუშაობაში კიდევ რამდენიმე სკოლა ჩაება, ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ რესპუბლიკის 14 საშუალო სკოლა. ექსპერიმენტის მიზანს წარმოადგენდა საკლასო და კლასგარეშე მუშაობის ეფექტური ფორმებისა და გზების ძიება, რაც ხელს შეუწყობდა მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარებას, რუსული ენის შეგნებულად ათვისებას. თუმც მეცნიერ მუშაკთა ყოველდღიური ზედამხედველობის ქვეშ მუშაობამ ასე თუ ისე შედეგი გამოიღო, მაგრამ ეს საგრძნობლად შესუსტდა მას შემდეგ, რაც სკოლებმა დამოუკიდებლად გააგრძელეს რეკომენდებული მუშაობა და ბოლოს აღნიშნული მუშაობა საერთოდ შეწყდა კიდეც. ექსპერიმენტის შეწყვეტას და მით უფრო სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას და მათს საფუძველზე სხვა მასობრივ სკოლებში სწავლების ახლებურად წარმართვის საქმეს სხვა ობიექტურმა თუ სუბიექტურმა მიზეზებმაც შეუშალეს ხელი. სამაგიეროდ, ინსტიტუტის ერთ-ერთმა ექსპერიმენტატორმა მ. ნ. გაგნიძემ დაამთავრა ექსპერიმენტის შედეგებისადმი მიძღვნილი დისერტაციის მომზადება მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

აღნიშნული ექსპერიმენტიც სკოლისათვის უსარგებლო აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, მასობრივ სკოლებში არ წარმოებს ზემოხსენებული ექსპერიმენტის საფუძველზე დამუშავებული მეთოდებითა და ხერხებით რუსული ენის სწავლება. ესეც კიდევ ერთი მრავლისმეტყველი ფაქტი იმისა, თუ სადამდე შეუძლია მიგვიყვანოს საფუძვლიანი დამუშავება-განჭვრეტის გარეშე წამოწყებულმა ექსპერიმენტმა, მეცნიერული სიდინჯის, კეთილსინდისიერებისა და მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინების უგულებელყოფამ, უპასუხისმგებლობამ და განუკითხაობამ. ამ ექსპერიმენტის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაცია მთავრდება შემდეგი წინადადებით: „მასწავლებელთა დასახმარებლად კი ინსტიტუტმა ორჯერ გამოსცა ვრცელი მეთოდიკური მითითებები, რომლითაც სკოლებს უნდა წარემართათ მუშაობა“. უპრიანი იქნებოდა გვეკითხა, კი მაგრამ, აღნიშნული მეთოდიკური მითითებები განიხილა კი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ, წარუდგინა განათლების სამინისტროს კოლეგიას განსახილველად და სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად თუ საამისო პრაქტიკა ინსტიტუტს დღემდე არ გააჩნია? ზემოხსენებული ექსპერიმენტის ბედი იმაზედაც მეტყველებს, რომ დღემდე არ არის განათლების სამინისტროს მიერ რეგლამენტირებული ექსპერიმენტების მომზადება-ჩატარების, შედე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გების ანალიზისა და დასკვნების გამოტანის პრაქტიკა, უარს
და მიუღებელის დაგმობის, სასარგებლოსა და დადებითის მასობრივი
სკოლისათვის მომარჯვების, მორგების, პრაქტიკა, რომ დღემდე ადგი-
ლი აქვს ზედაპირულობას, მოჩვენებითობას, ფორმალიზმსა და უპა-
სუხისმგებლობას ექსპერიმენტული მუშაობის ორგანიზების, მისი მეც-
ნიერული და მეთოდური უზრუნველყოფის საქმეში.

გაცილებით უფრო სრულყოფილად, მეცნიერულად და მეთოდუ-
რად დასაბუთებული და არგუმენტირებული ჩანს თსუ ზოგადი ენათ-
მეცნიერების კათედრის გამგის პროფ. გ. რამიშვილის ე. წ. განმარტე-
ბითი ბარათი თბილისის 46-ე საშუალო სკოლის საცდელი კლასების
იმ მუშაობის შესახებ (შეგნებულად ვუვლით გვერდს ვუწოდოთ ამ
მუშაობას ექსპერიმენტი), რომელიც ზემოხსენებული კათედრის თა-
ოსნობით 1982 წლიდან მიმდინარეობს. უცხოური (კერძოდ გერმანუ-
ლი) ენის გაძლიერებული სწავლების მიზნით წარმოებული მუშაობა
გულისხმობს ენის საფუძვლიან შესწავლას, რომლის საბოლოო მიზა-
ნია ამ ენაზე არსებული კულტურისა და მეცნიერების მიღწევათა გა-
ცნობა პირველწყაროთა მიხედვით და გულისხმობს სამი ენის — ქარ-
თულის, რუსულის, გერმანულის შეთანხმებულ სწავლებას, რასაც სა-
ფუძვლად უდევს ენათა სემანტიკური შეპირისპირების პრინციპები,
დამუშავებული ენერგეისტული თეორიის მიხედვით. ხსენებული ინ-
ფორმაცია შეიცავს ქვეთავებს, როგორიცაა: სამეცნიერო-მეთოდიკუ-
რი წანამძღვრები; სკოლის ორგანიზაციული პრინციპები; მასწავლე-
ბელთა შერჩევა, აღზრდის საკითხები: ინტელექტუალური აღზრდის
სფერო; მოქალაქეობრივი აღზრდა; ზნეობრიობა სიყვარულის, პატი-
ვისცემისა და ნდობის ერთიანობაა: შრომითი აღზრდა; პატრიოტული
და ინტერნაციონალური აღზრდა; ფიზიკური და ესთეტიკური აღზრ-
და; სასწავლო პროცესის ორგანიზაცია; მშობლებთან ურთიერთობა.

ისევე როგორც სხვაგან, აქაც გვაქვს მთელი რიგი საკითხებისა,
რომლებზედაც ღირს დაფიქრება, განსჯა-გააზრება და სიღრმისეული
ანალიზი. ისევე, როგორც სხვაგან, განათლების სამინისტროს მიერ აქაც
ერთგვარად უმართავია 46-ე საშუალო სკოლაში მიმდინარე მუშაობა
და იმ ზომამდეც კი, რომ სკოლის დირექციას ეკრძალება (ყოველ შემ-
თხვევაში ეკრძალებოდა ადრე) ჩაიხედოს საფუძვლიანად თუ რა ხდე-
ბა საცდელ კლასებში, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო-აღმზრდელო-
ბითი პროცესის ორგანიზების საქმეში, უშუალოდ შემოქმედი და მო-
ნაწილე იყოს იმ წარმატებისა, რასაც უდავოდ ადგილი აქვს აღნიშ-
ნულ სკოლაში. ალბათ, მიზანშეწონილი იქნება ისიც, რომ დრო და
დრო, პერიოდულად, ხდებოდეს განათლების სამინისტროს კოლეგიის
ინფორმირება იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს საცდელი მუ-
შაობა 46-ე საშუალო სკოლაში, რა სტადიაშია იგი, როგორია მასში

მონაწილე მასწავლებელ-პრაქტიკოსთა და მეცნიერ მუშაკთა მონაწილეობის მოცულობა, მეცნიერულ-მეთოდური უზრუნველყოფა, ამ მუშაობისა, გზა და გზა წამოჭრილ სირთულეთა მეცნიერულ-პრაქტიკული თუ ორგანიზაციულ-მეთოდური მახასიათებლები და სხვ., რათა კოლეგიის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ხელი შეუწყოს ნაკლოვანებათა ოპერატიული დაძლევის საქმეს. აღმოუჩინოს ქმედითი დახმარება სკოლას, ექსპერიმენტს, საზოგადოდ, და საცდელ მუშაობას, კერძოდ, ექსპერიმენტატორებსა და ამ მუშაობაში მონაწილე პედაგოგიურ კადრებს. რაც მთავარია, საჭიროა ყოველთვის უდიდესი წინდახედულობითა და სიფრთხილით ვეკიდებოდეთ ბავშვს, მოზარდს, აღსაზრდელს; საჭიროა გვახსოვდეს, რომ ჩვენს წინ პატარა მოქალაქე დგას თავისი პირადი „მეთი“, შინაგანი სამყაროთი და ინტერესებით და რომ ყოველგვარ საცდელ მუშაობას. ექსპერიმენტს მათი მეშვეობითა და დახმარებით ვუძღვებით და, მაშასადამე, ისინი ჩვენივე თანაშემწენი და დამხმარენი არიან.

ცალკე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, ადგილობრივი ძალებით, მათ შორის დედაქალაქის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეშვეობით, რამდენჯერმე შეისწავლა თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მიმდინარე საცდელი და ექსპერიმენტული მუშაობა, გაანალიზა იგი, მაგრამ რამე ოფიციალური განხილვა მოკვლეული მასალებისა სამმართველოს პრაქტიკაში დღემდე არ ჰქონია, რაც თავის მხრივ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს რამდენადმე მისაღებ ან თუნდაც დასაშვებ პრაქტიკად. ვფიქრობთ, აღნიშნულის გათვალისწინება უკვე ამთავითვე მართებს ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოსა და მის ხელმძღვანელობას.

ამრიგად, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მიმდინარე ექსპერიმენტების შედეგების შესახებ საუბრისას, საჭიროა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს, ნაკლებეფექტურად ორგანიზაციული თუ მეცნიერულ-მეთოდური უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რომ დადგა დრო, როცა აუცილებელი ხდება დავუქვემდებაროთ საექსპერიმენტო მუშაობა მკაცრად და ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრულ რეგლამენტს, რათა განათლების სამინისტროს უშუალო ხელმძღვანელობის გამოყენებით ხდებოდეს მათი რეგულირება მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის ერთიანი პროცესის ფარგლებში, სწავლების შინაარსისა და მეთოდების სრულყოფის, მეცნიერულ-მეთოდიკური აზროვნების სადღეისო მოთხოვნების ინტერესებიდან გამომდინარე.

**სკოლების სამმართველო**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

### უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების შესრულების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1985 წლის მაისის დადგენილების „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ შესრულების მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

2. განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებათა უფროსებმა:

2. 1. დარაზმონ სამმართველოებისა და განყოფილებების მუშაკები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად, პრინციპული შეფასება მისცენ ყოველგვარ ნეგატიურ გამოვლინებას. ამ მიმართულებით სახალხო განათლების სისტემაში და სამინისტროს თითოეული მუშაკის ნორმად გახადონ კანონისა და კანონიერების აუცილებელი დაცვა.

2. 2. განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ განათლების სამინისტროში შემოსულ მშრომელთა საჩივრებისა და სიგნალების შესწავლას სახალხო განათლების სისტემის მუშაკთა მიერ პროტექციონიზმის, მომხვეჭელობისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შესახებ; არ დაუშვან ზერელობა ამ საქმეში.

2. 3. ზონის ინსპექტორებისა და სხვა მუშაკთა მივლინებები ფართოდ გამოიყენონ ადგილებზე სათანადო სააგიტაციო და პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩასატარებლად; უზრუნველყონ მათ მიერ საკითხების ობიექტურად შესწავლა და პრინციპული რეაგირება.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

3. 1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ განიხილონ კოლეგიაზე, განათლების საბჭოებსა და პედაგოგიურ საბჭოებზე; შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები სახალხო განათლების ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განოებში, სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში მართლწესრიგის დასამყარებლად.

3. 2. შეისწავლონ და გამოავლინონ არარეგისტრირებული რეპეტიტორობის ფაქტები და შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადონ მათ იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი მანკიერი პრაქტიკა უარყოფით გავლენას ახდენს სწავლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლებაზე, პედაგოგისა და სკოლის ავტორიტეტზე; ღრმად ჩაწვდნენ რეპეტიტორთა ინსტიტუტის არსებობის მიზეზებს და აღკვეთონ ისინი. ამ მიზნით გააძლიერონ განათლების საფინანსო ორგანოების მუშაობის ეფექტიანობა უშრომელი შემოსავლის აღმოფხვრისათვის, გაზარდონ საფინანსო დარგისა და საინსპექტორო სამსახურის მუშაკთა ეკონომიკური სტიმულირება,

3. 2. პარტიული შეფასება მისცენ განათლების მუშაკთა მხრიდან უშრომელი შემოსავლის მიღების ნებისმიერ მცდელობას. ამ მიმართებით გაწეულ მუშაობას მისცენ პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და აღმზრდელობითი ხასიათი.

3. 4. იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონისა და პედაგოგიური კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლების, მასწავლებელთა მიმართ მაღალპრინციპული მომთხოვნელობით მიაღწიონ იმას, რომ სწავლებაში ფორმალიზმის აღმოფხვრისაკენ მიმართულ ღონისძიებათა საერთო სისტემაში საგაკვეთილო პროცესში ახალი, სწავლების სრულყოფილი ფორმების დანერგვით აქტიურად შეუწყონ ხელი მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებასა და განვითარებას, მათში შემეცნებითი ინტერესებისა და მოთხოვნების ჩამოყალიბებას.

3. 5. გააძლიერონ მოსწავლე ახალგაზრდობასთან იდეურ-ზნეობრივი მუშაობა, აღზარდონ მათში გონივრული მოთხოვნები, შრომისადმი პატივისცემა და მისწრაფება, მომხვეჭელობისა და კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის, კომუნისტური მორალის სხვა ანტიპოდებისადმი შეურიგებლობა. მოსწავლეთა შორის ფართო პროპაგანდა გაუწიონ საბჭოური ცხოვრების წესს, სოციალისტურ მშენებლობაში რაიონის, ქალაქის, რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებებს.

3. 6. აამაღლონ მშობელთა საზოგადოებრიობის როლი და პასუხისმგებლობა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, აქტიურად გამოიყენონ მექრთამეობის, ფულის შეგროვების, უშრომელი შემოსავლის სხვა წყაროების დასახშობად მშობელთა კომიტეტები, საზოგადოებები, მშობელთა თვითმმართველობის ორგანოები.

3. 7. ზედმიწევნით ობიექტურად შეისწავლონ მშრომელთა საჩივრები და სიგნალები უშრომელი შემოსავლის მიღების შესახებ და სათანადო რეაგირება მოახდინონ მათზე. საჭიროების შემთხვევაში საკითხი დააყენონ შესაბამისი ორგანოების წინაშე.

3. 8. უმოკლეს ვადაში შექმნან მატერიალური და ორგანიზაციული წანამძღვარები გადიდებული მოთხოვნის საქონლით — მანქანა-ტრაქტორთა სათადარიგო ნაწილებით, საწვავი და საპოხი მასალებით უზრუნველყოფის, მათ შეკეთებასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე სკოლების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. ამასთან სკოლების ხელმძღვანელთა ყურადღება მიაპყრონ მკაცრი წესრიგის დამყარებას სოციალისტური საკუთრების აღრიცხვაში, ნედლეულისა და მასალების, ფულადი სახსრების გამოყენებაში. გადაჭრით აღმოფხვრან მფლანგველობის, უკონტროლობისა და უყაირათობის ნებისმიერი გამოვლინება, უზრუნველყონ მატერიალურ ფასეულობათა მტკიცედ დაცვა-შენახვა. არ დაუშვან სახელმწიფო კუთვნილი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებების პირადი გამორჩენის მიზნით გამოყენება.

3. 9. განამტკიცონ საქმიანი კონტაქტები სამართალდაცვით და მაკონტროლებელ ორგანოებთან აღრიცხვისა და ანგარიშმგებლობის ხაზით დარღვევების თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთისათვის მუშაობაში.

3. 10. გაადიდონ მომთხოვნელობა ხელმძღვანელი კადრების მიმართ, რათა უვნებელყონ ყოველგვარი ანომალური მოვლენების წარმომშობი პირობები. გააძლიერონ კონტროლი მათი საქმიანობისადმი. კადრების შერჩევის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მუშაკთა პოლიტიკურ და საქმიან თვისებებს, მათს მორალურ მახასიათებლებს. არ დაუშვან სახელგატეხილი პირების სკოლაში სამუშაოზე გამოყენება. პედაგოგიურ კადრებთან მუშაობაში მთავარი ადგილი დაუთმონ იმის ნათელ ჩაგონებას, რომ პატიოსანი შრომა თითოეული მასწავლებლის უმნიშვნელოვანესი ვალია, რომ მხოლოდ კეთილსინდისიერი შრომა განსაზღვრავს მის ღირსებას.

3. 11. დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად პედაგოგიური კოლექტივებისათვის მოაწყონ უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალური და სხვა ასპექტების გაღრმავებული შესწავლა. მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციებზე განიხილონ უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული ღონისძიებანი. მიმდინარე წლის 10 სექტემბრამდე მოცემული საკითხის ირგვლივ იქონიონ საქმიანი, პრინციპული მსჯელობა პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, დასახონ კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა.

4. რესპუბლიკურმა პედაგოგიურმა პრესამ (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, რ. ძერია) ფართოდ და მწვავედ გააშუქოს სახალხო განათლების სისტემაში უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები.

5. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა). მას და-ევალოს მიმდინარე წლის 1-ლ სექტემბრამდე წარმოადგინოს აღნიშნული გადაწყვეტილების სარეალიზაციოდ მიმართული კონკრეტული ღონისძიებების გეგმა.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება

### მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების განვითარების კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმის შესახებ

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების განვითარების ღონისძიებათა გეგმა (თან ერთვის).

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს იხელმძღვანელონ მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების განვითარების გეგმით და შეიმუშაონ სათანადო ღონისძიებანი ადგილებზე აღნიშნული საკითხის სათანადოდ წარმართვის უზრუნველსაყოფად.

3. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი

## მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების განვითარების კომპლექსურ ღონისძიებათა გ ე გ მ ა

| № | ღონისძიების დასახელება | შესრულების ვადა | პასუხისმგებელი შესრულებაზე | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების 1986—1990 წლების ღონისძიებათა გეგმის შემუშავება | 1986 წლის III კვარტალი | სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებები | |
| 2 | ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებისა და პიონერთა სასახლეების ტექნიკური მუშაობის განყოფილებებში კადრების შემადგენლობის გაანალიზება. მათი შერჩევის, აღზრდისა და სწავლების სრულყოფისათვის ზომების გატარება | 1986 წლის IV კვარტალი | სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებები | |
| 3 | სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში აქტიური დახმარების მიზნით სახალხო განათლების სისტემის სკოლისგარეშე დაწესებულებებისათვის საშეფო საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის გამოსაყოფად ღონისძიებების გატარება | 1986 წლის ბოლომდე | სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განქოფილებები | |
| 4 | ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების შემდგომი განვითარების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის | 1987 წელი | სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| | განკარგულების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ზოგიერთი სხვა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის საშეფო დახმარების საკითხებზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 20 მაისის № 440 დადგენილების შესრულების პრაქტიკის შესწავლა | | | |
| 5 | სკოლებში ტექნიკური შემოქმედების წრეების გახსნისათვის საჭირო პირობების მომზადება, ახალი სასწავლო წლიდან მათი მუშაობის უზრუნველყოფა | 1986 წლის III კვარტალი | სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებები | |
| 6 | სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში თანამედროვე ტექნიკის შემსწავლელი (ავტომატიკის, გამოთვლითი ტექნიკის, კიბერნეტიკის, ტექნიკური ესთეტიკის — დიზაინის და სხვ.) წრეების გახსნა; ტექნიკური პროფილის წრეების ჩამოყალიბება ან არსებულის შეცვლა რეგიონის მოთხოვნათა გათვალისწინებით. | 1986—1990 წლები | სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებები | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 7 | საწარმოო-დაწესებულებებში არსებული საკონსტრუქტორო ბიუროების ბაზაზე მოსწავლეებისათვის წრეების, კლუბების, სექციებისა და სხვა გაერთიანებათა შექმნა, ამ მუშაობაში მშობლების, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ჩაბმა | 1986—1990 წლები | სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებები | |
| 8 | მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედებისა და სასოფლო-სამეურნეო საცდელი მუშაობის ხაზით სკოლისგარეშე დაწესებულებების მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა და განზოგადება | 1986—1990 წლები | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო | |
| 9 | ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების დირექტორებისათვის, პიონერთა სასახლეების ტექნიკის განყოფილებათა გამგეებისა და მეთოდისტებისათვის სკოლისგარეშე მუშაობაში ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის დანერგვის საკითხებზე სემინარის ჩატარება | 1986 წლის II კვარტალი | მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | |
|---|---|---|---|---|
| 10 | სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების განვითარებისათვის საჭირო პროგრამების, სათანადო ლიტერატურის, საწრეო მუშაობის ჟურნალების შემუშავება და არსებული წესის მიხედვით გამოცემის უზრუნველყოფა. | 1986—1990 წლები | ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო | |
| 11 | „სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პირობებში რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესწავლა რესპუბლიკის რამდენიმე ქალაქსა და რაიონში | 1986—1987 წლები | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო | |
| 12 | დადგენილი ასორტიმენტის ავეჯზე, ავტომანქანებსა და სხვა საკითხებზე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში წარსადგენად განაცხადში | ყოველწლიურად | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | |
|---|---|---|---|---|
| | სკოლისგარეშე დაწესებულებათა მოთხოვნების გათვალისწინება | | | |
| 13 | სამეცნიერო-ტექნიკური და საცდელი მუშაობის შემდგომი განვითარების მიზნით მოსწავლეთა გაერთიანებების ხელმძღვანელებად მეცნიერთა მოზიდვის თაობაზე საკითხის მომზადება და განსახილველად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინაშე დაყენება | 1986 წლის IV კვარტალი | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო | |
| 14 | მოსწავლეთა ტექნიკური შემოქმედების შემდგომი განვითარების მიზნით ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების მატერიალურ-ტექმიკური ბაზის განმტკიცებისა და ქსელის გაფართოების საკითხებზე წინადადებების მომზადება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში განსახილველად წარდგენა | 1986 წლის III კვარტალი | აღმზრდელობითი მუშაობისა და საგეგმო-საფინანსო სამმართველოები კაპიტალური მშენებლობის სამმართველოსთან ერთად | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 15 | მაღაზია „ნორჩი ტექნიკოსის“ და მაღაზია „პიონერის“ ქსელის გაზრდის, საჭირო საქონლის გადარიცხვის წესით რეალიზაციაზე ნებართვის, სათანადო ასორტიმენტით, წარმოების ნარჩენებით მათი მომარაგების საკითხებზე წინადადებების მომზადება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში განსახილველად წარდგენა | 1986 წლის IV კვარტალი | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო | |
| 16 | ნორჩი ტექნიკოსების და ტექნიკით დაინტერესებული მოზარდებისათვის ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკაში“ სათანადო რუბრიკის შემოღების თაობაზე საკითხის განსახილველად ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წინაშე დაყენება | 1986 წლის III კვარტალი | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1986 წლის 26 ივნისი გადაწყვეტილება

### დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების მე-6 რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ

პატრიოტიზმის, ქვეყნის წარსულისადმი ღრმა პატივისცემის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების რევოლუციური წარსულის, მისი გმირული გზის შესწავლის მაგალითზე ინტერნაციონალური სულისკვეთებით მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. დამტკიცებული დებულების საფუძველზე, 1987 წლის 22, 23 მარტს ქ. თბილისში ჩატარდეს მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების მე-6 რესპუბლიკური დათვალიერება დევიზით: „წინაპართა ნაკვალევზე“.

დათვალიერების ორგანიზაცია დაევალოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ინტერნაციონალური აღზრდის კაბინეტს.

2. სახალხო განათლების საქალაქო და რაიონულმა განყოფილებებმა კომკავშირის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან ერთად 1986 წლის 25 დეკემბრამდე ადგილებზე ჩაატარონ ინტერკლუბების საქალაქო და რაიონული დათვალიერება და 1987 წლის 15 იანვრამდე კლუბების მუშაობის ამსახველი მასალები რეკომენდაციასთან ერთად წარმოადგინონ რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში შემდეგი მისამართით: თბილისი, რუსთაველის გამზირი 6, ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, ინტერნაციონალური აღზრდის კაბინეტი.

3. დამტკიცდეს მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების მე-6 რესპუბლიკური დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დამტკიცდეს ხარჯთაღრიცხვა და ნება დაერთოს პიონერთა სახლეს მე-6 რესპუბლიკური დათვალიერებისათვის საჭირო თანხა გაიღოს საკუთარი ბიუჯეტიდან.

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. ა. ალავერდაშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ნ. ჳასაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ჯ. მარგველიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების 1985—1986 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა ოქროსა და ვერხცლის მედლით დაჯილდოების შესახებ

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს სკოლების პედაგოგიური საბჭოების გადაწყვეტილებები კურსდამთავრებულთა ოქროს მედლით „წარჩინებული წარმატებისათვის სწავლაში, შრომითი და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“ დაჯილდოების შესახებ, სულ 61 კურსდამთავრებულზე.

2. დაევალოთ რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებს ყველა დოკუმენტის (საკლასო ჟურნალები, საგამოცდო ოქმები, პედსაბჭოს ოქმები, დახასიათებები) პირადი პასუხისმგებლობით გადამოწმების შემდეგ განიხილონ და სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე დაამტკიცონ პედაგოგიური საბჭოების გადაწყვეტილებები კურსდამთავრებულთა ვერცხლის მედლით დაჯილდოების შესახებ.

3. კურსდამთავრებულთა ოქროს მედლით დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი ჩატარდეს 27 ივნისს ქ. თბილისის სადღესასწაულო სასახლეში.

4. საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი) გასცეს განსაკუთრებული ნიმუშის ატესტატები თანახმად დამტკიცებული სიისა.

5. დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. ლ. გაგუას საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობისა და სკოლების სამმართველოებთან ერთად (ამხ. ამხ. თ. ტატიშვილი, ე. ქურციკიძე) დაწვრილებით გააანალიზოს გამოსაშვები გამოცდების შედეგები და საკითხი კოლეგიის სხდომაზე განსახილველად შემოიტანოს მიმდინარე წლის ოქტომბერში.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება

## მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა მე-19 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მე-20 რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების შესახებ მიღებული საეტაპო დადგენილების, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების, სკკპ და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობების გადაწყვეტილებების მოთხოვნათა შესაბამისად რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების წარმართვისათვის სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების მიერ გაწეულმა ნაყოფიერმა მუშაობამ მტკიცე საფუძველი შეუქმნა ამ საგნების სწავლების საქმის მოთხოვნათა დონეზე დაყენებას, რამაც აშკარა გამოხატულება მშობლიური ენისა და ლიტერატურის რესპუბლიკური ოლიმპიადების შედეგებშიც პოვა.

მიმდინარე, 1985—1986 სასწავლო წელს მოსწავლეთა მე-19 ლიტერატურული ოლიმპიადის ზონალურ და რესპუბლიკურ ტურებში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების VIII-IX-X კლასების მოსწავლეებმა.

ოლიმპიადის დასკვნით ტურში მონაწილეობდა 490 მოსწავლე. გაიმარჯვა 217-მა. მათგან პირველი ხარისხის სიგელით დაჯილდოვდა— 7, მეორე ხარისხის სიგელით — 77, მესამე ხარისხის სიგელით კი — 133 მოსწავლე

ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზმა ნათელი გახადა, რომ ამ ბოლო წლებში მკვეთრად ამაღლდა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების დონე. მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება ამ საგნების სწავლების სათანადო მოთხოვნათა დონეზე დაყენებას, დიდ ყურადღებას უთმობს როგორც პროგრამული მასალის სწავლებასა და მოსწავლეთა მიერ მის შესწავლას, ისე კლასგარეშე კითხვას, წაკითხულის სრულყოფილ ანალიზს, მოსწავლეთა დამოუკიდებელი მსჯელობის, კვლევის. ძიების, დასკვნების გაკეთებისა და განზოგადების ჩვევების განვითარებას, წერითი მეტყველების კულტურის ამაღლებას, რის შედეგადაც მოსაწონია მოსწავლეთა გარკვეული ნაწილის ლიტე-

რატურული განათლება, მხატვრული ქმნილების არსში წვდომის, მისი ანალიზისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.

მოსწავლეთა ლიტერატურული ოლიმპიადის დასკვნით ტურში თავი გამოიჩინეს ქ. თბილისის 1-ლი, მე-16, 22-ე, 47-ე, 51-ე, 55-ე, 82-ე, 107-ე, 117-ე, 137-ე, 143-ე, 149-ე, 151-ე, 154-ე, 159-ე, ქ. ქუთაისის მე-15, 23-ე, მე-3, 26-ე, 21-ე, 30-ე, 25-ე, ქ. ქ. სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, რუსთავის, ფოთის. ცაგერის, მახარაძის, საგარეჯოს, გურჯაანის, ჩხოროწყუს, საჩხერის, გარდაბნის, ჩოხატაურის, ონის, ასპინძის, ზესტაფონის, ხაშურის, გალის, თელავის. თერჯოლის, სიღნაღის რაიონების ქართული, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აჭარის ასსრ-ის, რუსთავის რუსული, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, მარნეულის, ქ. თბილისის სომხური, ქ. თბილისის, რუსთავის, ბოლნისის. დმანისის, მარნეულის აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლეებმა.

ოლიმპიადის ჟიურის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს მოსწავლეების ლ. ებრალიძის (ცაგერის რაიონის სოფელ ლაჯანის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი), ი. გრიგოლავას (ფოთის 1-ლი საშუალო სკოლა, მასწავლებელი თ. გოგიჩაიშვილი), ი. სანაკოევას (ქ. ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, მასწავლებელი მ. ხარებოვა), ნ. გაჩეჩილაძის (თბილისის 64-ე საშუალო სკოლა, მასწავლებელი ე. ივანოვა), ი. ბალიანის (ქ. ფოთის მე-3 საშუალო სკოლა, მასწავლებელი გ. ჭანტურია), ნ. თოდრიას (თბილისის 106-ე საშუალო სკოლა, მასწავლებელი ვ. კოლესნიჩენკო), გ. ჯამგაროვას (თბილისის 25-ე საშოალო სკოლა, მასწავლებელი გ. კირილოვა), ს. პეტუკიევიჩის (თბილისის 116-ე საშუალო სკოლა, მასწავლებელი ი. ბურშტეინი), ა. კაბაჩნიკოვას (თბილისის 56-ე საშუალო სკოლა, მასწავლებელი ნ. შჩერბაკოვა), რ. მაკსიმოვას (ბოლნისის მე-3 საშუალო სკოლა, მასწავლებელი დ. ამირასლანოვა), ვ. სამედოვას (თბილისის 73-ე საშუალო სკოლა, მასწავლებელი მ. ბაირამოვა) წერითმა ნამუშევრებმა.

ამ წარმატებებთან ერთად ოლიმპიადის ზონალური და დასკვნითი ტურების შედეგების ანალიზმა ისიც დაგვანახვა, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლაში კვლავ დაბალ დონეზე ისწავლება მშობლიური ენა და ლიტერატურა, რის გამოც სუსტია მოსწავლეთა ერთი ნაწილის ცოდნა. უჭირთ მხატვრული ნაწარმოების არსში წვდომა, საკუთარი ნააზრევის მწყობრად, თანამიმდევრულად გადმოცემა, ფაქტებისა და მოვლენების განზოგადება, თემების სწორად, დამოუკიდებლად გააზრება, გამართულად წერა.

დაბალი მომზადება გამოავლინეს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კახაბრის, წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯალის, მცხეთის 1-ლი, სოფელ დიღმის, კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის, ბორჯომის 1-ლი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-4, ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის, ლენინგორის, ლენტეხის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, მესტიის, ორჯონიკიძის, ბოლნისის, ვანის, ზუგდიდის, ცხინვალის, სამტრედიის, დუშეთის, გეგეჭკორის, ხობის, წულუკიძის, გარდაბნის, ქობულეთის, ლაგოდეხის, ზუგდიდის რაიონების, ჭიათურის, წყალტუბოს ზონებისა და ქალაქების გორის მე-8, მე-12, ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის, მე-6, 27-ე, 29-ე, თბილისის 48-ე, 141-ე საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

დასახელებული სკოლების მოსწავლეთა ცოდნის დაბალი დონე განპირობებულია შესაბამისი საგნების მასწავლებელთა სუსტი, უგერგილო მუშაობით, იმით, რომ ისინი ნაკლებად ზრუნავენ სწავლების მაღალი დონის მიღწევისათვის, მოსწავლეთა ლიტერატურული თვალსაწიერის გაფართოებისათვის, მათი შემოქმედებითი მუშაობის უნარჩვევების განვითარებისათვის, კლასგარეშე კითხვის სადღეისო მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვისათვის, წერის კულტურის ამაღლებისათვის.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგიცაა, რომ სახალხო განათლების განყოფილებებისა და მათი მეთოდკაბინეტების ხელმძღვანელები, ქართული ენისა და ლიტერატურის ინსპექტორები თუ მეთოდისტები და სკოლის დირექტორები და სასწავლო-აღმზრდელობით დარგში მათი მოადგილეები სათანადო დახმარებას და კონტროლს არ უწევენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მუშაობას, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ამ საგნების სწავლების გაუმჯობესების მიზნით მოქმედი სადირექტივო დოკუმენტების მოთხოვნათა შესრულების საქმეს, არ ითვალისწინებენ ოლიმპიადის როლსა და მნიშვნელობას მოსწავლეთა სრულფასოვან აღზრდაში, იმ უპირატესობას, რასაც ოლიმპიადაში გამარჯვება ანიჭებს უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთ.

ოლიმპიადისადმი ცალკეული სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების ხელმძღვანელთა უსულგულო დამოკიდებულების შედეგია ის, რომ რესპუბლიკურ ტურში მონაწილეობა ვერ მიიღეს საგურის, აბაშის, ტყვარჩელის, ოჩამჩირის, შუახევის, ახალქალაქის, ადიგენის, ყაზბეგის, ქარელის, ლენტეხის, მარნეულის რაიონების, ქ. მარნეულის ქართული, გარდაბნის, ბორჯომის, გურჯაანის, დუშეთის, ყვარლის, საგარეჯოს, ლანჩხუთის, თბილისის ოქტომბრის რაიონების რუსული, ბოლნისის, ასპინძის, თეთრი წყაროს რაიონების სომხური, წალკის, თეთრი წყაროს, ლაგოდეხისა და საგარეჯოს რაიონების აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლეებმა.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა მე-19 ოლიმპიადაში გამარჯვებისათვის დაჯილდოვდეს:

პირველი ხარისხის სიგელით — 7 მოსწავლე, მეორე ხარისხის სიგელით — 77 მოსწავლე, მესამე ხარისხის სიგელით — 133 მოსწავლე.

2. მე-20 რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ს. ხუციშვილი — თსუ ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის პროფესორი (თავმჯდომარე)

ზ. ბურდილაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი (თავმჯდომარის მოადგილე)

ვ. გასპარიშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი (თავმჯდომარის მოადგილე)

ნ. ნადარეიშვილი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი

თ. კვაჭანტირაძე — ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ დამატების „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ რედაქტორი, დოცენტი

რ. გაბეჩავა — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკათა სექტორის გამგე, დოცენტი

ე. ზარქუა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი

ნ. რუხაძე — რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი (მდივანი)

ვ. ტურძელაძე — რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი

ა. კასრაძე — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის წიგნზე მუშაობის განყოფილების გამგე

ნ. სამნიაშვილი — გორის რაიონის სოფელ შინდისის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი

დ. ბერიძე — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკათა კათედრის დოცენტი

მ. ანდრიაძე — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის გამგე

ნ. ბუაძე — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

თ. ჯაფოშვილი — თბილისის 123-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

მ. მურადოვი — გარდაბნის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. გრიგორიანი — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მეთოდისტი

3. საორგანიზაციო კომიტეტმა შექმნას ჟიური, რომელიც შეამოწმებს ოლიმპიადის მონაწილეთა წერით ნამუშევრებს.

4. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა მე-20 რესპუბლიკური ოლიმპიადა ჩატარდეს ოთხ ეტაპად: სასკოლო, სარაიონო (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური. ამასთან განისაზღვროს მათი ჩატარების ვადები: სასკოლო და სარაიონო (საქალაქო) — 1986 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ზონალური — 1987 წლის 25 იანვარს, დასკვნითი — 1987 წლის 29 მარტს.

5. ოლიმპიადის რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა ქმედითი პრაქტიკული დახმარება გაუწიოს სკოლების, რაიონების (ქალაქების) და ზონების საორგანიზაციო კომიტეტებს ადგილებზე ოლიმპიადის მაღალ დონეზე ჩატარების საქმეში, მანვე მოამზადოს და სკოლებს დაუგზავნოს მეთოდიკური რეკომენდაციები საოლიმპიადო თხზულებებზე მუშაობის შესახებ.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

6. 1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილება „მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა მე-19 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მე-20 რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ“ სათანადო ღონისძიებათა განხორციელების მიზნით გულდასმით განიხილონ და გააცნონ მასწავლებლებს მეთოდგაერთიანებათა სხდომაზე.

6. 2. დროულად შექმნან ოლიმპიადის სასკოლო, სარაიონო (საქალაქო), ზონალური ტურების ჩასატარებლად შესაბამისი საორგანიზაციო კომიტეტები და განახორციელონ მათდამი საჭირო კონკრეტული ხელმძღვანელობა.

7. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ამ საგნის შესწავლით დაინტერესებულ მოსწავლეთა შერჩევას, განუმარტონ მათ ოლიმპიადაში გამარჯვების მნიშვნელობა უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის, ჩააბან ისინი საგნობრივ წრეებში, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მათი მხატვრული, ლიტერატურულ-შემოქმედებითი დონის შემდგომ ამაღლებას.

8. ლიტერატურულ ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეთა წახალისების მიზნით:

8. 1. ეთხოვოს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს (ამხ. ვ. ლორთქიფანიძე) დააწესოს ოთხი პრიზი რესპუბლიკური ქართული,

რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს ოლიმპიადის დასკვნით ტურში.

8. 2. გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (ამხ. ნ. შველიძე), ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ" (ამხ. რ. ძერია) დააწესონ სამი პრიზი VIII, IX, X კლასების მოსწავლეებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს ოლიმპიადის დასკვნით ტურში, მათვე პერიოდულად გამოაქვეყნონ ინფორმაციები სასკოლო, სარაიონო (საქალაქო), ზონალური და დასკვნითი ტურების მიმდინარეობის შესახებ.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს გამოუყოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო ქაღალდი.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის 1987 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა მე-20 რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის საჭირო ხარჯები.

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. ე. ქურციკიძე) განახორციელოს კონტროლი და ხელმძღვანელობა ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# РЕШЕНИЕ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## Об итогах XIX Республиканской олимпиады учащихся по родному языку и литературе и подготовке к XX олимпиаде

**17 июля 1986 года**

Коллегия отмечает, что работа, проводимая органами народного образования Грузинской ССР по совершенствованию преподавания родного языка и литературы в грузинских, русских, армянских и азербайджанских школах республики в свете постановления Центрального Комитета Компартии Грузии и Совета Министров ГССР об улучшении обучения родному языку и литературе, Основных направлений реформы общеобразовательной и профессиональной школы, решений XXVII съезда КПСС и XXVII съезда Компартии Грузии заложила прочные основы для улучшения школьного литературного образования и приведения его в соответствие с современными требованиями, что нашло яркое отражение в результатах Республиканской олимпиады по родному языку и литературе.

В 1985—1986 учебном году в зональном и республиканском турах XIX литературной олимпиады принимали участие ученики VIII-IX-X классов грузинских, русских, армянских и азербайджанских школ республики. Число участников заключительного тура 490, 217 победителей, из них грамотами I степени награждено 7 учащихся, II степени — 77, III степени — 133.

Значительная часть учителей с чувством высокой ответственности относится к делу совершенствования преподавания, приведения его в соответствие с современными требованиями, большое внимание уделяет усвоению учащимися программного материала, их внеклассному чтению, глубокому и всестороннему анализу прочитанного, развитию навыков самостоятельного мышления, посильного творческого поиска, повышению речевой культуры, что подтверждают работы их учащихся, отмеченные высокой грамотностью, умением оценить идейно-художественные достоинства литературного произведения, применить знания литературоведческого материала, полученные на уроках, при решении поставленной перед ними задачи.

В заключительном туре литературной олимпиады хорошие результаты показали учащиеся грузинских средних школ

№№ 1, 16, 22, 47, 51, 55, 82, 107, 117, 137, 143, 149, 152, 154, 159 г. Тбилиси, №№ 3, 15, 21, 23, 25, 26, 30 г. Кутаиси, а также средних школ г. Сухуми, г. Батуми, г. Цхинвали, г. Рустави, г. Поти, Цагерского, Махарадзевского, Сагареджойского, Гурджаанского, Чхороцкусского, Сачхерского, Гардабанского, Чохатаурского, Онского, Аспиндзского, Зестафонского, Гальского, Телавского, Терджольского, Сигнахского районов; учащиеся русских средних школ №№ 25, 42, 56, 63, 106, 116 и физико-математической школы-интерната им. Комарова г. Тбилиси; №№ 1, 19 г. Рустави, №№ 3, 4 г. Поти, Абхазской АССР; армянских средних школ г. Тбилиси, Ахалкалакского, Богдановского, Марнеульского районов; азербайджанских средних школ г. Тбилиси, г. Рустави, Дманисского и Марнеульского районов.

Особое одобрение жюри олимпиады заслужили работы учащихся Л. Эбралидзе (физико-математическая школа-интернат села Ладжани Цагерского района), И. Григолава (средняя школа № 1 г. Поти, преподаватель Т. Гогичаишвили), И. Санакоевой (средняя школа № 2 г. Цхинвали, преподаватель М. Харебова), Н. Гачечиладзе (средняя школа № 64 г. Тбилиси, преподаватель Е. Иванова), И. Балан (средняя школа № 3 г. Поти, преподаватель Г. Чантурия), Н. Тордия (средняя школа № 106 г. Тбилиси, препадаватель В. Колесниченко), Г. Джамгаровой (средняя школа № 25 г. Тбилиси, преподаватель Г. Кирилова), С. Петюкевич (средняя школа № 42 г. Тбилиси, преподаватель И. Бурштейн), А. Кабачниковой (средняя школа № 56 г. Тбилиси, преподаватель Н. Щербанова), С. Тихонова (средняя школа № 1 г. Рустави, преподаватель Н. Санодзе), Р. Максимовой (средняя школа № 3 г. Болниси, преподаватель Д. Амирасланова), В. Самедовой (средняя школа № 73 г. Тбилиси, преподаватель М. Байрамова).

Анализ результатов зонального и заключительного туров олимпиады показал, что, наряду с достигнутыми успехами, в деле преподавания родного языка и литературы имеются определенные недостатки: учащиеся проявляют слабые литературные знания, затрудняются дать оценку идейно-художественной значимости произведения, не умеют последовательно и логично передать свои мысли, грамотно их оформить.

Слабые работы представили учащиеся школ Кахабрской Хелвачаурского района, Джальской Цаленджихского района, Мцхетской 1-й, Дигомской Мцхетского района, Квемочальской Каспского района, № 1 и № 2 Боржомского района, Гавазской

Кварельского района, Ленингорского, Лентехского, Зестафонского, Маяковского, Местийского, Орджоникидзевского, Болнисского, Ванского, Зугдидского, Цхинвальского, Самтредского, Душетского, Гегечкорского, Хобского, Цулукидзевского, Гардабанского, Кобулетского, Лагодехского и Зугдидского районных, Чиатурской и Цхалтубской зональных, горийских и Кутаисской физико-математической школы-интерната, кутаисских №№ 6, 27, 29, тбилисских №№ 48, 141.

Низкий уровень знаний учащихся вышеперечисленных школ обусловлен неквалифицированной работой учителей, недостаточным вниманием к вопросам расширения литературного кругозора учащихся, развития творческих способностей, организации внеклассного чтения, повышения культуры письменной речи.

В ряду причин, породивших отмеченные недостатки, и ослабление контроля со стороны руководителей отделов народного образования, методкабинетов, инспекторов и методистов по родному языку и литературе, директоров и их заместителей по учебно-воспитательной работе за деятельностью учителей родного языка и литературы, безответственное отношение к выполнению требований директивных документов об улучшении обучения этим предметам, недооценка роли и значения олимпиады во всестороннем развитии учащихся, тех привилегий, которые обеспечивает победа в олимпиаде поступающим в вузы.

Безответственным отношением к олимпиаде по литературе следует объяснить тот факт, что в республиканском туре не приняли участия ученики грузинских средних школ Гагрского, Абашского, Ткварчельского, Очамчирского, Шуахевского, Ахалкалакского, Адигенского, Казбегского, Карельского, Лентехского, Марнеульского районов и г. Марнеули; русских средних школ Боржомского, Гардабанского, Гурджаанского, Дманисского, Душетского, Кварельского, Сагареджойского, Ланчхутского, Телавского районов и Октябрьского района г. Тбилиси; азербайджанских средних школ Цалкского, Тетрицкаройского, Лагодехского и Сагареджойского районов.

Приказываю:

1. Наградить победителей XIX республиканской олимпиады по родному языку и литературе: грамотой I степени 7 учащихся, грамотой II степени — 77 учащихся и грамотой III степени — 133 учащихся.

2. Для руководства XX республиканской олимпиадой утвердить организационный комитет в следующем составе:

С. Хуцишвили — профессор Кафедры новой грузинской литературы ТГУ (председатель)

З. Бурдиладзе — школьный инспектор Управления школ Минпроса ГССР (заместитель председателя)

В. Гаспаришвили — школьный инспектор Управления школ Минпроса ГССР (заместитель председателя)

А. Алавердашвили — заведующая Отделом работы с пионерами ЦК ЛКСМ Грузии

Т. Квачантирадзе — редактор приложения к журналу «Скола да цховреба» «Картули эна да литература сколаши», доцент

Р. Габечава — заведующий сектором методик обучения грузинскому языку и литературе НИИ педагогических наук им. Я. Гогебашвили, доцент

Э. Заркуа — начальник Управления воспитательной работы Минпроса ГССР

Н. Рухадзе — методист Республиканского учебно-методического кабинета Минпроса ГССР (секретарь)

В. Турдзеладзе — методист Республиканского учебно-методического кабинета Минпроса ГССР

К. Гвазава — заведующий Отделом гуманитарных наук Республиканского Дворца пионеров и школьников им. Б. Дзнеладзе

Н. Самниашвили — преподавательница грузинского языка и литературы средней школы села Шиндиси Горийского района, Герой Социалистического Труда, Заслуженный учитель республики

Д. Беридзе — доцент Кафедры методик обучения грузинскому языку и литературе ЦИУУ Минпроса ГССР

М. Андриадзе — заведующая Кабинетом грузинского языка и литературы Тбилисского института усовершенствования учителей

Н. Буадзе — преподаватель грузинского языка и литературы средней школы № 23 г. Тбилиси

Т. Джапошвили — преподаватель грузинского языка и литературы средней школы № 123 г. Тбилиси

М. Мурадов — школьный инспектор Гардабанского районного отдела народного образования

В. Григорян — методист ЦИУУ Минпроса ГССР

3. Организационному комитету создать жюри по проверке письменных работ участников олимпиады

4. XX республиканскую олимпиаду учащихся по родному языку и литературе провести в четыре тура: школьный, районный (городской), зональный и республиканский. При этом определить сроки их проведения: школьный и районный (городской) — в ноябре-декабре 1986 года, зональный — 25 января 1987 года, заключительный — 29 марта 1987 года.

5. Республиканскому организационному комитету оказать действенную практическую помощь школьным, районным (городским) и зональным организационным комитетам на местах в деле проведения олимпиады на высоком уровне, ему же подготовить и разослать школам методические рекомендации об организации и проведении олимпиады.

6. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, начальнику Управления народного образования г. Тбилиси:

6. 1. Тщательно рассмотреть и ознакомить учителей на заседаниях методобъединений с приказом Минпроса ГССР «Об итогах XIX Республиканской олимпиады учащихся по родному языку и литературе и подготовке к XX олимпиаде» с целью осуществления соответствующих мероприятий·

6. 2. Своевременно создать организационные комитеты по проведению школьного, районного (городского) и зонального туров олимпиады и осуществить надлежащее конкретное руководство ими.

7. Преподавателям родного языка и литературы общеобразовательных школ республики больше внимания уделить работе с учащимися, проявляющими особый интерес к этому предмету, разъяснить им значение победы в олимпиаде для поступающих в вузы, вовлечь их в предметные кружки, всесторонне способствовать дальнейщему повышению их художественного и литературно-творческого уровня.

8. С целью поощрения учащихся-участников литературной олимпиады:

8. 1. Просить ЦК ЛКСМ Грузии (тов. В. Лордкипанидзе) учредить четыре приза для учащихся грузинских, русских, армянских и азербайджанских школ, особо отличившихся в заключительном туре олимпиады·

8. 2. Редакциям загеты „Сахалхо ганатлеба» (тов. Н. Швелидзе) и журнала «Скола да цховреба» (тов. Р. Дзерия), учредить три приза для учащихся VIII, IX и X классов, особо

отличившихся в заключительном туре олимпиады; им же периодически публиковать информации о ходе школьного, районного (городского), зонального и заключительного туров олимпиады.

9. Главному управлению снабжения Минпроса ГССР (временный исполнитель обязанностей начальника О. Кавтарадзе) выделить Республиканскому Дворцу пионеров и школьников им. Б. Дзнеладзе пичсую бумагу в необходимом количестве для проведения олимпиады.

10. Планово-финансовому управлению Минпроса ГССР (тов. О. Кереселидзе) в бюджете Республиканского Дворца пионеров и школьников им. Б. Дзнеладзе на 1987 год предусмотреть необходимые расходы по проведению XX Республиканской олимпиады учащихся по родному языку и литературе.

11. Управлению школ Минпроса ГССР (тов. Э. Курцикидзе) осуществить контроль и руководство за ходом выполнения настоящего приказа.

Основание: решение коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 17 июля 1986 года.

**Председатель коллегии,**
**Министр Н. Ш. Васадзе**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შეთანხმებულია"
განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
მ. კ. კობახიძე
14 ივლისი, 1986 წ.

„ვამტკიცებ"
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ნ. შ. ვასაძე
17 ივლისი, 1986 წ.

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სახვითი ხელოვნების სტუდიების (წრეების შესახებ)

### I. სტუდიის (წრის) მიზანი და ამოცანები

სახვითი ხელოვნების სტუდია (წრე) წარმოადგენს მოზარდი თაობის მხატვრულ-ესთეტიკური განათლებისა და აღზრდის კერას. იგი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან ერთად ხელს უწყობს ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირებას.

სახვითი ხელოვნების სტუდია (წრე) მიზნად ისახავს მოსწავლეთათვის ზოგადი სამხატვრო განათლების მიცემას, მათი მხატვრული მონაცემების გამოვლენას და ნიჭიერი ბავშვების მომზადებას საშუალო და უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში შესასვლელად.

### II. სტუდიის (წრის) საორგანიზაციო წყობა და სტრუქტურა

1. სახვითი ხელოვნების სტუდია შეიძლება გაიხსნას რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების შუამდგომლობით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანების საფუძველზე (სპეციალურ ანგარიშზე) რვაწლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, პიონერთა სახლებთან და სასახლეებთან, სკოლა-ინტერნატებთან.

სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მოსწავლეთა კონტინგენტისა და კვალიფიციური კადრის არსებობის პირობებში, სახალხო განათლების განყოფილებისათვის დამტკიცებული შრომის გეგმის (ხელფასის ფონდისა და მუშაკთა რიცხოვნობის), სამმართველოს აპარატის რიცხოვნობისა და მისი შენახვისათვის გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვის ასიგნებათა ფარგლებში.

შენიშვნა:

1. სახვითი ხელოვნების სტუდია (ფილიალი) შეიძლება დაიხუროს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების ბრძანებით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე, არასათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მოსწავლეთა მცირე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტინგენტისა და არაკვალიფიციური კადრის არსებობის პირობებში.

2. განათლების ადგილობრივმა განყოფილებამ განაცხადი სტუდიის (ფილიალის) გახსნის თაობაზე უნდა წარადგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში მხატვრული აღზრდის რესპუბლიკურ სახლთან შეთანხმების შემდეგ, სასწავლო წლის დაწყებამდე სამი თვით ადრე.

სახვითი ხელოვნების სტუდიის გახსნისათვის აუცილებელია მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 100 ბავშვისა.

3. სკოლებში სახვითი ხელოვნების წრე იხსნება რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების ბრძანებით. მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება ქალაქად 50-დან 100-მდე, სოფლად არანაკლებ 30-ისა.

შენიშვნა: კონტინგენტის სიმცირის შემთხვევაში სახვითი ხელოვნების სტუდიის ახლომდებარე სოფლებში შეიძლება გაიხსნას ფილიალები. (კონტინგენტი განისაზღვრება არანაკლებ 20 მოსწავლით).

4. სახვითი ხელოვნების სტუდია (წრე) ხელმძღვანელობს მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური სახლის მიერ შემუშავებული, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით, რომელიც შეთანხმებულია განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან.

5. სწავლებაში ახალი ეფექტური ფორმებისა და მეთოდების დანერგვის მიზნით, მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური სახლის წარდგენით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილების საფუძველზე ზოგიერთ სტუდიას მიეცემა პედაგოგიური ექსპერიმენტის ჩატარების უფლება, რომელიც განზოგადდება და დაინერგება მისი შედეგების მეცნიერულად დასაბუთების შემდეგ.

შენიშვნა: ექსპერიმენტის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, სასწავლო გეგმების განხილვა-დამტკიცება, კადრების შერჩევა ხდება მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური სახლის უშუალო ხელმძღვანელობით.

6. სახვითი ხელოვნების სტუდიაში (წრეში) შეიძლება გაიხსნას კლასები: ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სპეციალობით.

კლასების გახსნა სპეციალობის მიხედვით დამოკიდებულია მოსწავლეთა რაოდენობაზე (არანაკლებ 12 მოსწავლისა), პედაგოგიური კადრებისა და აუცილებელი სამუშაო მასალა-იარაღების არსებობაზე.

7. სახვითი ხელოვნების სტუდიაში მეცადინეობა წარმოებს შვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი წლის მანძილზე, წრეში სწავლების ხანგრძლივობა ოთხი წელია.

8. სახვითი ხელოვნების სტუდიის დამთავრების შემდეგ მოსწავლე იღებს მოწმობას. მოწმობის ფორმას აწესებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, ხოლო გაცემას აწარმოებს მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური სახლი.

## III. სახვითი ხელოვნების წრეში (სტუდიაში) მოსწავლეთა მიღების წესი

1. სახვითი ხელოვნების სტუდიაში მსურველნი მიიღებიან კონკურსის გარეშე.

2. სახვითი ხელოვნების სტუდიაში შემსვლელ მოსწავლეთა ასაკი კლასების მიხედვით შემდეგნაირად განისაზღვრება:

ა) პირველი კლასი — 6-7 წელი
ბ) მეორე კლასი — 8-9 წელი
გ) მესამე კლასი — 9-10 წელი
დ) მეოთხე კლასი — 10-11 წელი
ე) მეხუთე კლასი — 11-12 წელი
ვ) მეექვსე კლასი — 13 წელი
ზ) მეშვიდე კლასი — 14 წელი

3. განცხადება სახვითი ხელოვნების სტუდიაში (წრეში) მიღების თაობაზე იწერება სკოლის დირექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს: მოსწავლის დაბადების მოწმობა (ასლი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ერთი ფოტოსურათი, ცნობა მშობელთა საქმიანობის შესახებ, მოსწავლის ჯანმრთელობის ცნობა.

4. სახვითი ხელოვნების სტუდიაში (წრეში) სხვა სტუდიიდან ან სამხატვრო სკოლიდან მოსწავლე იმავე კლასში უგამოცდოდ გადმოიყვანება წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე.

სახვითი ხელოვნების სტუდიაში მოსწავლეთა მიღება დასაშვებია I-II-III-IV-V კლასებში სათანადო პროგრამის ჩაბარების შემდეგ სპეციალურ და თეორიულ საგნებში.

შენიშვნა: სახვითი ხელოვნების სტუდიაში (წრეში) მოსწავლეების ჩარიცხვის ვადა გრძელდება 1-ლ ოქტომბრამდე.

## IV. სახვითი ხელოვნების სტუდიის (წრის) სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. სახვითი ხელოვნების სტუდიაში (წრეში) სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ხორციელდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების საფუძველზე.

2. სახვითი ხელოვნების სტუდია (წრე) მეცადინეობას იწყებს 1-ლ სექტემბერს და ამთავრებს 25 ივნისს.

3. საშემოდგომო, ზამთრისა და საგაზაფხულო არდადეგები ეწყობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დადგენილ ვადებში.

4. სახვითი ხელოვნების სტუდიაში (წრეში) დადგენილია სასწავლო მეცადინეობის ჯგუფური სახე.

5. სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს ეწყობა გამოფენა, რომლის საფუძველზეც მოსწავლეს ეწერება სათანადო სემესტრული და წლიური ნიშანი.

6. მოსწავლეთა მოსწრება და ყოფაქცევა ფასდება ხუთბალიანი სისტემით.

7. ინდივიდუალური გამოკითხვა თეორიულ საგნებში ეწყობა ყოველ სემესტრში (არანაკლებ ოთხისა) შესაბამისი საგნის მასწავლებლის მიერ.

8. დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა გამოშვება ხდება თეორიულ საგანში გამოცდის ჩატარებისა და სადიპლომო ნამუშევრის დაცვის საფუძველზე (არაუგვიანეს 30 მაისის), ხოლო კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდა (თეორიულ საგანში) და გამოფენა ეწყობა 5-დან 15 ივნისამდე.

9. მოსწავლეები, რომლებიც ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო სასწავლო პროგრამის ნახევარს ვერ დაძლევენ, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება დატოვებულ იქნან იმავე კლასში.

10. მოსწავლეები, რომლებიც გამოცდების პერიოდში ავად გახდნენ, კარგი აკადემიური მოსწრებისა და სასწავლო პროგრამის სრული ათვისების შემთხვევაში შემაჯამებელი ნიშნების საფუძველზე შეიძლება გადაყვანილ იქნან შემდეგ კლასში.

11. იმ მოსწავლეებს, რომლებიც გადასაყვან და გამოსაშვებ გამოცდებზე მიიღებენ შეფასებას „დამაკმაყოფილებელი" ან „კარგი", საგნის გადაბარების უფლება არ ეძლევათ.

12. მოსწავლეთათვის, რომლებმაც გამოსაშვებ გამოცდებზე „არადამაკმაყოფილებელი" ნიშანი მიიღეს ან გამოცდების პერიოდში მძიმე დაავადება გადაიტანეს (სამედიცინო ცნობის წარმოდგენის შემთხვევაში) განმეორებითი გამოცდები დაინიშნება ივნისში.

13. მოსწავლეებს, რომლებსაც არ ჰქონდათ ძირითად და დამატებით გამოსაშვებ გამოცდებზე გასვლის საშუალება (მძიმე დაავადება, უბედური შემთხვევა და ა. შ.), უფლება ეძლევათ ჩააბარონ გამოცდები ერთი წლის შემდეგ.

14. მოსწავლეებს, რომლებმაც ძირითად და განმეორებით გამოცდებზე რომელიმე საგანში „არადამაკმაყოფილებელი" შეფასება მიიღეს, მოწმობის ნაცვლად მიეცემათ ცნობა კურსის მოსმენის შესახებ.

შენიშვნა: ყველა გამონაკლისი შემთხვევა ნებადართული უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური სახლის მიერ სათანადო დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე.

15. განათლების ადგილობრივმა განყოფილებებმა ცნობა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ უნდა წარმოადგინონ მხატვრული აღზრდის რესპუბლიკურ სახლში არაუგვიანეს 1-ლი მარტისა. გამოსაშვები გამოცდების ვადები ადგილობრივ განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით მტკიცდება მხატვრული აღზრდის რესპუბლიკურ სახლში.

16. გამოსაშვები გამოცდების კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურას წარადგენს რაიონის განათლების განყოფილება მხატვრული აღზრდის რესპუბლიკურ სახლში დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე პირი.

სხვა შემთხვევაში საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური სახლის წარმომადგენელი.

17. მოსწავლეების გადაყვანა შემდეგ კლასში და კურსდამთავრებულთათვის მოწმობის გაცემა ფორმდება პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

18. სახვითი ხელოვნების სტუდიაში გამოსაშვები გამოცდების ჩაბარება ექსტერნის წესით დაუშვებელია.

19. სტუდიიდან (წრიდან) მოსწავლე გაირიცხება არადამაკმაყოფილებელი აკადემიური მოსწრების, დისციპლინის უხეში დარღვევისა და სწავლის ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

20. სახვითი ხელოვნების სტუდიის (წრის) თითოეულ ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება 12-დან 15-ის ჩათვლით. მეცადინეობა ტარდება კვირაში სამჯერ. აკადემიური საათი შეადგენს 45 წუთს.

## V. სახვითი ხელოვნების სტუდიის პედაგოგიური საბჭო

1. მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ძირითადი საკითხების სწორად წარმართვისა და სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხის გადასაწყვეტად სახვითი ხელოვნების სტუდიაში იქმნება პედაგოგიური საბჭო, რომელიც იკრიბება ყოველ სასწავლო სემესტრში არანაკლებ ორჯერ.

2. პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

სახვითი ხელოვნების სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგე (თავმჯდომარე), მასწავლებლები (საჭიროების შემთხვევაში პედაგოგიური საბჭოს სხდომებს ესწრება მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მდივნის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მასწავლებელი, რომელსაც ირჩევენ ერთი წლის ვადით.

4. პედაგოგიური საბჭო:

ა) განიხილავს სახვითი ხელოვნების სტუდიის სამუშაო გეგმებს;

ბ) სახავს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა შორის იდეურ-პოლიტიკური და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ ამაღლებას;

გ) ისმენს სკოლის დირექტორის, სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგისა და პედაგოგების ინფორმაციებს სტუდიის სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობის მდგომარეობის შესახებ და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს;

დ) ადგენს გადასაყვანი გამოცდების ზუსტ ვადებს, კურსდამთავრებულთათვის მოწმობების გაცემის, წარჩინებულ მოსწავლეთა დაჯილდოების, სტუდიიდან ცალკეულ შემთხვევებში მოსწავლეთა გარიცხვის და სხვა საკითხებს.

ოქმში უნდა გაშუქდეს პედაგოგიური საბჭოს მსჯელობის საგანი, კამათში გამომსვლელთა სიტყვების მოკლე შინაარსი და მიღებული დადგენილებები.

5. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარემ სისტემატური კონტროლი უნდა გაუწიოს მიღებული დადგენილებების შესრულებას.

6. სახვითი ხელოვნების სტუდიის (წრის) მუშაობის საკითხი უნდა განიხილოს სკოლის საერთო პედაგოგიურმა საბჭომ, წელიწადში არანაკლებ ერთხელ.

## VI. სახვითი ხელოვნების სტუდიის (წრის) ხელმძღვანელობა

1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორი სახვითი ხელოვნების სტუდიის დირექტორიც არის. მას ევალება ხელმძღვანელობა (კონტროლის დაწესება სახვითი ხელოვნების სტუდიის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ორგანიზებაზე.

2. სკოლის დირექტორის მოვალეობაში შედის:

ა) ადმინისტრაციული პერსონალის დადგენილი წესით დანიშვნა-განთავისუფლება, სახვითი ხელოვნების სტუდიისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კეთილმოწყობა და მუშაობისათვის აუცილებელი პირობების შექმნა;

ბ) ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის შერჩევა.

შენიშვნა: დამლაგებელი, საქმეთა მმართველი, მნე და ა. შ. ინიშნება სტუდიის შენახვისათვის აუცილებელი სახსრების არსებობის შემთხვევაში.

გ) მოსწავლეთა მიღებისა და კურსდამთავრებულთა გამოშვების წესების დაცვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) კონტაქტის განმტკიცება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და მასთან არსებულ სახვითი ხელოვნების სტუდიას შორის;

ე) ფინანსური დისციპლინის დაცვა და საერთო კონტროლის გაწევა დოკუმენტაციის წარმოებაზე;

ვ) შრომის დისციპლინის და შინაგანაწესის დამრღვევ თანამშრომელთათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სახვითი ხელოვნების სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგის დანიშვნა-განთავისუფლება ხდება დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. სასწავლო ნაწილის გამგეს ნიშნავს და ათავისუფლებს განათლების ადგილობრივი განყოფილება მხატვრული აღზრდის რესპუბლიკურ სახლთან შეთანხმებით.

4. სახვითი ხელოვნების სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგეს უნდა ჰქონდეს უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება.

5. სახვითი ხელოვნების სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგე:

ა) პასუხისმგებელია სტუდიის სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობის სწორ ორგანიზებაზე, პროგრამების, სასწავლო გეგმების შესრულებაზე, მოსწავლეთა მოსწრებასა და დისციპლინაზე;

ბ) ადგენს სტუდიის სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობის გეგმებს და დასამტკიცებლად წარუდგენს განათლების განყოფილებას;

გ) ამოწმებს და ამტკიცებს მოსწავლეთა ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობების სამუშაო გეგმებს, როგორც სპეციალურ ისე თეორიულ საგნებში, განიხილავს პედაგოგის მიერ პროგრამის შესრულებას, პედაგოგიური საბჭოს წინაშე დადგენილ ვადებში წარადგენს ანგარიშს სასწავლო-მეთოდური მუშაობის მდგომარეობის შესახებ;

ე) აკონტროლებს საკლასო ჟურნალების დროულად და წესიერად წარმოებას, მოსწავლეთა დასწრებას, შეფასების ობიექტურობას;

ვ) ანგარიშს აბარებს მშობელთა კომიტეტს სახვითი ხელოვნების სტუდიის თანხების ხარჯვისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის თაობაზე;

ზ) აწარმოებს დოკუმენტაციის ყველა ფორმას, თუ სტუდიაში არ არის საქმის მწარმოებელი;

თ) ადგენს წლიურ ხარჯთაღრიცხვას, აწესრიგებს ფინანსურ დისციპლინას.

6. სახვითი ხელოვნების სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგის სამუშაო დღე განისაზღვრება 7 საათით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VII. სახვითი ხელოვნების სტუდიის (წრის) მასწავლებლები

1. სახვითი ხელოვნების სტუდიის (წრის) მასწავლებლები, რომელთაც საშუალო ან უმაღლესი სპეციალური განათლება აქვთ, ინიშნებიან განათლების ადგილობრივი განყოფილების მიერ დადგენილი წესით. უპირატესობა ენიჭებათ უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებს.

2. განაცხადი სტუდიაში (წრეში) ახალი კადრების საჭიროებაზე სკოლის დირექტორმა უნდა წარუდგინოს განათლების ადგილობრივ განყოფილებას. პედაგოგიური კოლექტივის დაკომპლექტება უნდა დამთავრდეს 15 სექტემბრამდე.

3. მასწავლებლები სასწავლო ნაწილის გამგეს წარუდგენენ მეცადინეობის ცხრილს, აწვდიან ცნობებს სასწავლო გეგმისა და პროგრამის შესრულების, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, მეცადინეობებზე დასწრებისა და ყოფაქცევის შესახებ.

4. მასწავლებლები სისტემატურად უნდა იმაღლებდნენ იდეურ-პოლიტიკურ დონეს, პედაგოგიურ კვალიფიკაციას, აქტიურად მონაწილეობდნენ სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

## VIII. სახვითი ხელოვნების სტუდიის (წრის) მშობელთა კომიტეტის მიზნები და ამოცანები

1. სახვითი ხელოვნების სტუდიის (წრის) მშობელთა კომიტეტს ერთი წლის ვადით ირჩევს მშობელთა საერთო კრება.

2. მშობელთა კომიტეტი:

ა) ირჩევს თავისი შემადგენლობიდან თავმჯდომარესა და მდივანს;

ბ) მუშაობაში ხელმძღვანელობს სტუდიის (წრის) დებულებით, წლიური სამუშაო გეგმით, სკოლის დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოს მითითებით;

გ) ეხმარება სტუდიას (წრეს) ბავშვებთან კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზაციაში;

დ) მშობელთა კომიტეტის დადგენილებით, მცირეშემოსავლიანი ოჯახების შვილები შეიძლება გათავისუფლდნენ სწავლის გადასახადიდან (იმ შემთხვევაში, თუ სტუდიას ფულადი დანაზოგი გააჩნია);

ე) მონაწილეობს სტუდიის (წრის) სამეურნეო საქმიანობაში;

ვ) ხარჯავს ფულად დანაზოგს თავისი გადაწყვეტილებით;

ზ) ატარებს კრებებს (სემესტრში ორჯერ), აწარმოებს კრების ოქმებს;

თ) ანგარიშს აბარებს მშობელთა საერთო კრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## IX. სახვითი ხელოვნების სტუდიის საქმისწარმოება და ანგარიშგება

1. სახვითი ხელოვნების სტუდია განათლების განყოფილების წინაშე დადგენილ ვადებში წარადგენს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, ფინანსური საქმიანობის წლიურ ანგარიშს და სტატისტიკურ ცნობებს (დაწესებული ფორმით).

2. სახვითი ხელოვნების სტუდია (წრე) უნდა აწარმოებდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი საჭირო დოკუმენტაციის ყველა ფორმას.

სახვითი ხელოვნების სტუდიის (წრის) დოკუმენტაცია:

1. ბრძანების წიგნი (დალუქული და ზონარგაყრილი)
2. პედაგოგთა მოსვლა-წასვლის ტაბელი
3. კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების ოქმები
4. მეცადინეობის ცხრილი პედაგოგების მიხედვით
5. მეცადინეობის საერთო ცხრილი დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ.
6. სახვითი ხელოვნების სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგის სამუშაო გეგმა
7. სამუშაო გეგმები თეორიულ საგნებში
8. მეთოდკომისიის სამუშაო გეგმა
9. კონტინგენტის მოსწრების ჟურნალი კლასების მიხედვით
10. კონტინგენტის მოსწრების ჟურნალი პედაგოგების მიხედვით
11. საკლასო ჟურნალები
12. მოსწავლეთა პირადი საქმეები.
13. მეთოდური მუშაობის სააღრიცხვო ჟურნალი
14. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები
15. მშობელთა საერთო კრებისა და კომიტეტის სხდომების ოქმების ჟურნალი
16. მოსწავლეთა სარაიონო, საქალაქო და რესპუბლიკურ დათვალიერებებზე მონაწილეობის სააღრიცხვო ჟურნალი
17. სწავლის გადასახადის სააღრიცხვო ჟურნალი
18. გამოსაშვები გამოცდების ოქმები სპეციალობაში
19. საგამოცდო ფურცლები თეორიულ საგნებში
20. მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისა და ყოფაქცევის სააღრიცხვო ჟურნალი
21. მოსწავლეთა სტუდიის დამთავრების მოწმობების სააღრიცხვო ჟურნალი (დალუქული და ზონარგაყრილი)
22. მასწავლებელთა ხელფასის ტარიფიკაცია.
23. ანგარიშსწორების უწყისი
24. საინვენტარიზაციო უწყისი
25. სწავლის გადასახადის ქვითრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## X. სახვითი ხელოვნების სტუდიის (წრის) ფინანსური საქმიანობის ძირითადი საკითხები

1. სახვითი ხელოვნების სტუდიის (წრის) მასწავლებელთა ხელფასის ანაზღაურება ხდება სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1985 წლის 16 მაისის განათლების მუშაკთა ხელფასის გამოსაანგარიშებელი ინსტრუქციის 22-ე პუნქტის მიხედვით.

2. ხელფასის განაკვეთები სტუდიის (წრის) მასწავლებლებს აუნაზღაურდებათ ოთხწლედში 20 საათის, შვიდწლედში კვირაში 18 საათის პედაგოგიური მუშაობისათვის.

| № | განათლების ცენზი | პედაგოგიური მუშაობის სტაჟი | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 1-დან 5 წლამდე | 5-დან 10 წლამდე | 10-დან 15 წლამდე | 15 წელი და მეტი |
| 1 | უმაღლესი განათლება | 115 | 125 | 135 | 145 |
| 2 | საშუალო, სპეციალური განათლება | 105 | 110 | 120 | 125 |
| 3 | ზოგადი საშუალო განათლება | 80 | 80 | 85 | 85 |

შენიშვნა: ხელფასის განაკვეთები იმ პედაგოგებისათვის, რომელთაც აქვთ განათლება სამასწავლებლო ინსტიტუტისა და მასთან გათანაბრებული სხვა სასწავლებლის მოცულობით, დაწესებულია 20 მან-ით ნაკლები, ვიდრე უმაღლესი განათლების მუშაკებისათვის; ხოლო იმათთვის, ვისაც საშუალო სპეციალური განათლება არა აქვს — 10 მან-ით ნაკლები.

3. სახვითი ხელოვნების სტუდიის მოსწავლეთა მშობლებისაგან შემოსული თანხა ჩაირიცხება იმ დაწესებულებების სპეციალური სახსრების ანგარიშზე, რომელთანაც იხსნება სახვითი ხელოვნების სტუდია (სსრკ ფინანსთა სამინისტროს 1981 წლის 12 ივნისის № 120 ინსტრუქციის შესაბამისად).

4. სახვითი ხელოვნების სტუდიის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს ამტკიცებს განათლების ადგილობრივი განყოფილება საფინანსო განყოფილებასთან შეთანხმებით.

5. მშობელთა მიერ შემოტანილი თანხა შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ სახვითი ხელოვნების სტუდიის საჭიროებისათვის.

6. საანგარიშო წლის ბოლოსათვის სახსრების თავისუფალი ნაშთი ბიუჯეტის შემოსავალში ჩარიცხვას არ ექვემდებარება და გამოიყენება სახვითი ხელოვნების სწავლების მატერიალური ბაზის გასაძლიერებლად.

7. თუ სახვითი ხელოვნების წრეში 100-მდე მოსწავლე ირიცხება, ერთ-ერთი პედაგოგი სასწავლო და საორგანიზაციო ხელმძღვანელობისათვის ინიშნება უფროს მასწავლებლად და მას მიეცემა ხელფასის დანამატი 15 მანეთის ოდენობით. სტუდიაში 101-150 მოსწავლეზე ინიშნება სასწავლო ნაწილის გამგე 0,5 განაკვეთზე, ხოლო თუ მოსწავლეთა რიცხვი 150-ზე მეტია — 1,0 განაკვეთზე. ხელფასის ოდენობა სასწავლო ნაწილის გამგეებისათვის განისაზღვრება სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1985 წლის 16 მაისის განათლების მუშაკთა ხელფასის ინსტრუქციის მე-16 IV პუნქტის მიხედვით.

| № | მოსწავლეთა კონტინგენტი | უმაღლესი განათლების მქონეთათვის |
|---|---|---|
| 1. | 100-მდე | 15 მან. |
| 2. | 101-დან 150-მდე | 65 მან. |
| 3. | 151-დან 200-მდე | 100 მან. |
| 4. | 201-დან 300-მდე | 130 მან. |
| 5. | 301-დან 400-მდე | 135 მან. |
| 6. | 400-ზე ზევით | 140 მან. |

შენიშვნა: სასწავლო ნაწილის გამგეთა თანამდებობრივი სარგოები, რომელთაც უმაღლესი განათლება არა აქვთ, წესდება 20 მანეთით ნაკლები.

8. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ან იმ დაწესებულების დირექტორს, სადაც სახვითი ხელოვნების სტუდიაა (წრე) გახსნილი, ეძლევა ხელფასის დანამატი თითოეულ მოსწავლეზე თვეში 15 კაპიკის ოდენობით.

9. სწავლის საფასური მშობლებმა შემნახველ სალაროში უნდა გადაიხადონ სახვითი ხელოვნების სტუდიის (წრის) ანგარიშზე, ყოველი კვარტალის პირველი თვის 10 რიცხვისათვის, გადასახადის ხელზე აკრეფა სტუდიის თანამშრომლებს სასტიკად ეკრძალებათ.

10. სახვითი ხელოვნების სტუდიებზე (წრეებზე) გაპიროვნებულ ბუღალტერიის საანგარიშო დარგის მუშაკებს მიეცემა დამატებითი

ანაზღაურება თიოთეულ მოსწავლეზე თვეში 15 კაპიკის ოდენობით.

შენიშვნა: ბულალტერია ვალდებულია სახვითი ხელოვნების სტუდიას (წრეს) ყოველი კვარტალის ბოლოს მიაწოდოს ცნობები სტუდიის (წრის) შემოსავალ-გასავლის მდგომარეობის შესახებ.

11. სკოლის სამნეო ნაწილის გამგეს სტუდიის (წრის) ყოველ მოსწავლეზე ეძლევა თვეში 15 კაპიკი (რაც არ უნდა აღემატებოდეს მისი ხელფასის ნახევარს).

12. სახვითი ხელოვნების სტუდიაში საქმისწარმოებისათვის სკოლის, ან სტუდიის ერთ-ერთ მუშაკზე გაიცემა გასამრჯელო თითოეულ მოსწავლეზე 15 კაპიკი თვეში.

13. სკოლის დამლაგებელს სტუდიის ყოველ ერთ მოსწავლეზე ეძლევა თვეში 15 კაპიკი.

14. სტუდია საფინანსო მეურნეობას დამოუკიდებლად აწარმოებს.

15. საშემოდგომო, ზამთრის, საგაზაფხულო და ზაფხულის არდადეგების პერიოდში პედაგოგების ხელფასი ანაზღაურდება ტარიფიკაციით, დადგენილი წესის მიხედვით.

16. სახვითი ხელოვნების სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგისა და მასწავლებლების შვებულების ხანგრძლივობა 48 დღეა.

17. თუ მოსწავლე გაირიცხა ან საკუთარი სურვილით გავიდა სტუდიიდან (წრიდან), დარჩენილი თანხა მშობელს უნდა დაუბრუნდეს.

18. თუ მოსწავლეს რამდენიმე თვის სწავლის გადასახადი შეტანილი აქვს და საპატიო მიზეზის გამო სტუდიაში არ დადიოდა, გაცდენილი გაკვეთილები უნდა აუნაზღაურდეს შემდეგი თვეების ანგარიშში.

19. სახვითი ხელოვნების სტუდიის (წრის) მოსწავლეთა სწავლებისათვის გადასახადის ოდენობა დიდდება მშობელთა კომიტეტის მიერ პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით სტუდიის შენახვისათვის აუცილებელი ხარჯების გათვალისწინებით, გადასახადის თანხის განსაზღვრისათვის საჭიროა შედგეს თანამშრომელთა ტარიფიკაცია და ხარჯთაღრიცხვა, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს შემოსავლისა და გასავლის ოდენობა, დებულებიდან გამომდინარე თანამშრომელთა ხელფასები, საკანცელარიო თანხები და სხვა ხარჯები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1

## ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან არსებული სახვითი ხელოვნების სტუდიის (წრის) სასწავლო გეგმა I—II კლასებისათვის

| № | საგნის დასახელება | აკადემიური საათების რაოდენობა კვირაში კლასების მიხედვით | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | I კლ. | II კლ. | III კლ. | IV კლ. |
| 1 | ფერწერა | 1 | 1 | 1 | 1 |
| 2 | გრაფიკა | 1 | 1 | 1 | 1 |
| 3 | ძერწვა | 1 | 1 | 1 | 1 |
| 4 | კომპოზიცია | 1 | 1 | 1 | 1 |
| 5 | დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება | 1 | 1 | 1 | 1 |
| | ს უ ლ: | 5 | 5 | 5 | 5 |

შენიშვნა: დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების განხრით მიღება იწარმოებს შერჩევით: კერამიკა, აპლიკაცია, თოჯინები, ბუნებრივი მასალები.

## სახვითი ხელოვნების სტუდიის V-VII კლასების სასწავლო გეგმა ფერწერის სპეციალობისათვის

| № | საგნის დასახელება | აკადემიური საათების რაოდენობა კვირაში კლასების მიხედვით | | |
|---|---|---|---|---|
| | | V კლ. | VI კლ. | VII კლ. |
| 1 | ფერწერა | 3 | 3 | 3 |
| 2 | კომპოზიცია | 3 | 3 | 3 |
| 3 | ხატვა | 3 | 3 | 3 |
| 4 | ხელოვნების ისტორია | 1 | 1 | 1 |
| | ს უ ლ: | 10 | 10 | 10 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახვითი ხელოვნების სტუდიის V-VII კლასების სასწავლო გეგმა გრაფიკის სპეციალობისათვის

| № | საგნის დასახელება | აკადემიური საათების რაოდენობა კვირაში კლასების მიხედვით | | |
|---|---|---|---|---|
| | | V კლ. | VI კლ. | VII კლ. |
| 1 | კომპოზიცია | 3 | 3 | 3 |
| 2 | ფერწერა | 3 | 3 | 3 |
| 3 | ხატვა | 3 | 3 | 3 |
| 4 | ხელოვნების ისტორია | 1 | 1 | 1 |
| | ს უ ლ: | 10 | 10 | 10 |

## სახვითი ხელოვნების სტუდიის V-VII კლასების სასწავლო გეგმა კერამიკის (ლითონის მხატვრული დამუშავება, ქსოვა) სპეციალობისათვის

| № | საგნის დასახელება | აკადემიური საათების რაოდენობა კვირაში კლასების მიხედვით | | |
|---|---|---|---|---|
| | | V კლ. | VI კლ. | VII კლ. |
| 1 | კერამიკა (ლითონი, ქსოვა) | 3 | 3 | 3 |
| 2 | კომპოზიცია | 3 | 3 | 3 |
| 3 | ხატვა | 3 | 3 | 3 |
| 4 | ხელოვნების ისტორია | 1 | 1 | 1 |
| | ს უ ლ: | 10 | 10 | 10 |

## სახვითი ხელოვნების სტუდიის V-VII კლასების სასწავლო გეგმა ქანდაკების სპეციალობისათვის

| № | საგნის დასახელება | აკადემიური საათების რაოდენობა კვირაში კლასების მიხედვით | | |
|---|---|---|---|---|
| | | V კლ. | VI კლ. | VII კლ. |
| 1 | ქანდაკება | 3 | 3 | 3 |
| 2 | კომპოზიცია | 3 | 3 | 3 |
| 3 | ხატვა | 3 | 3 | 3 |
| 4 | ხელოვნების ისტორია | 1 | 1 | 1 |
| | ს უ ლ: | 10 | 10 | 10 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინამდებარე დებულება არ ექვემდებარება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებას. მისივე მოწერილობის თანახმად სამინისტროს სისტემაში გახსნილ დაწესებულებათა შესახებ დებულებებს ამტკიცებს თვით სამინისტრო ცალკეულ საკითხებზე დადგენილი კანონმდებლობის გათვალისწინებით — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წერილი № 05-1/05. 04.09.85.

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება

### სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად ექვსწლიან ბავშვთა სწავლებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

კოლეგია აღნიშნავს., რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის ივნისის დადგენილების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლისა და ექვსი წლის ასაკის ბავშვთა პირველ კლასში მიღების შესახებ" შესაბამისად რესპუბლიკაში 1984—1985 სასწავლო წლიდან განხორციელდა თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლა და ექვსწლიანთა პირველ კლასში ჩარიცხვა.

რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ, სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს სასკოლო რეფორმის ამ მოთხოვნის სარეალიზაციოდ.

პირველ კლასებში ექვსწლიანთა ჩარიცხვა მიმდინარეობდა მშობელთა სურვილის გათვალისწინებითა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ გაცემული სამედიცინო ცნობების საფუძველზე. ადგილებზე ექვსწლიანთა პირველი კლასებისათვის შეირჩა შედარებით უკეთესი და ნათელი ოთახები მეცადინეობისათვის, გართობისა და ძილისათვის. შეძენილ იქნა სასკოლო დგამ-ავეჯი, საწოლები, სათამაშოები, მაგარი და რბილი ინვენტარი, მოწესრიგდა ცხელი კერძებით ექვსწლიანთა კვების საკითხი, დადებითად გადაწყდა 3 და მეტი კილომეტრის დაშორებით მცხოვრებ ექვსწლიანთა ტრანსპორტირება. პირველ კლასებში ექვსწლიანებთან სამუშაოდ შეირჩნენ და გადამზადდნენ დაწყებით კლასებში მომუშავე მოწინავე პედაგოგები, გადამუშავდა სასწავლო გეგმა და პროგრამები, გამოიცა თერთმეტწლიანი სკოლის პირველი კლასისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები, მასწავლებლებმა მიიღეს 14 დასახელების მეთოდიკური რეკომენდა-

ციები ექვსწლიანთა სწავლებისა და აღზრდის საკითხებზე. პირველი კლასების ერთი ნაწილი ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში გაიხსნა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ექვსწლიანთა სწავლებაში ჩაბმის რაოდენობრივი მაჩვენებლების ამაღლებას და მათთვის სწავლებისა და აღზრდის, აგრეთვე საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების პირობების გაუმჯობესებას.

ახალი 1986—1987 სასწავლო წლიდან სახალხო განათლების ზოგიერთი ადგილობრივი ორგანოს (წალენჯიხის, საგარეჯოს, ჩოხატაურისა და დმანისის რაიონები) ინიციატივით ჩატარდება შესაბამისი მოსამზადებელი მუშაობა სკოლა-კომპლექტების „სკოლა—საბავშვო ბაღი“ შექმნისათვის. თავის მხრივ რესპუბლიკის მასშტაბით მიღებული 73,4 ათასი ექვსწლიანი მოსწავლისგან სკოლამდელ დაწესებულებებში გახსნილ პირველ კლასებში ისწავლის 5,9 ათასი ექვსწლიანი, რისთვისაც საჭირო იქნება დამატებით 1,5 მლნ მანეთის გამოყოფა. ექვსწლიანთათვის საჭირო პირობების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს აგრეთვე ახალი სასწავლო წლისათვის ამჟამად მშენებარე 44 საშუალო და რვაწლიანი სკოლა 23,5 ათას მოსწავლე-ადგილზე, რისთვისაც სახელმწიფომ 28,2 მლნ მანეთი გამოჰყო.

ამასთან, კოლეგია თვლის, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ, რეფორმის მოთხოვნათა განხორციელებისათვის ექვსწლიანთა სწავლების, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, წარმოებული მუშაობა ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი და ხასიათდება სერიოზული ნაკლოვანებებით. ადგილებზე რაციონალურად ვერ იყენებენ არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაძლებლობებსა და ვერ წყვეტენ მისი განმტკიცების ოპერატიულ საკითხებს, ვერ ახერხებენ ექვსწლიანთათვის სწავლის, დასვენების, კვებისა და სამედიცინო მომსახურების მაღალი დონის უზრუნველყოფას.

კოლეგია არანორმალურად მიიჩნევს იმას, რომ ზოგიერთი რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ექვსწლიანთათვის არ არის გამოყოფილი ცალკე ფლიგელი ნათელი და ვრცელი საკლასო ოთახებით, არ არის აგრეთვე თამაშისა და ძილისათვის განკუთვნილი ოთახები, არასაკმარისი რაოდენობით აქვთ შეძენილი სასკოლო დგამავეჯი, საწოლები, საბავშვო სათამაშოები, მაგარი და რბილი ინვენტარი, ნაკლებად ზრუნავენ ადგილებზე ექვსწლიანთა კვების, სანიტარიული და სამედიცინო უზრუნველყოფისა და ტრანსპორტირების საკითხების ჯეროვან მოგვარებაზე. უნარიანად ვერ იყენებენ ამ მხრივ ადგილებზე არსებულ, მათ შორის გახანგრძლივებული დღის ჯგუფების შესაძლებლობებს. ამ თვალსაზრისით არასაკმარისი მონდომებით მუშაობენ ადიგენის (ამხ. ზ. კუბლაშვილი), ახალციხის (ამხ. მ. ჟუჟუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაძე), ახმეტის (ამხ. ზ. წითელაური), ორჯონიკიძის (ამხ. შ. ლონდაძე), ასპინძის (ამხ. დ. ზედგენიძე), გეგეჭკორის (ამხ. ა. ხუროძე), მესტიის (ამხ. გ. ზურებიანი), თეთრი წყაროს (ამხ. თ. მელაძე) და სხვა რაიონების სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები.

ჯერ კიდევ აღინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები ექვსწლიანთა, და არა მხოლოდ მათი, გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში ჩაბმის მხრივ. რესპუბლიკის 3620 სკოლიდან მხოლოდ 21-ია გახანგრძლივებული დღის სკოლა, ხოლო ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში (ქ. ქ. ქუთაისი, ჭიათურა, გორი, მარნეული, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, გორის, ყაზბეგის (საერთოდ არა აქვთ გახანგრძლივებული დღის ჯგუფი, (ზესტაფონის, სამტრედიის, თერჯოლის რაიონები) I-VIII კლასელთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 10%-მდე მოსწავლეა ჩაბმული გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში. რესპუბლიკის დაწყებითი სკოლებიდან არც ერთი არ არის გახანგრძლივებული დღის ტიპისა და მხოლოდ 22 მათგანშია შექმნილი გახანგრძლივებული დღის 23 ჯგუფი, სადაც 633 მოსწავლეა გაერთიანებული, ანუ ამ ტიპის სკოლების მოსწავლეთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 4,4%.

სახალხო განათლების განყოფილებები ვერ ამყარებენ ჯეროვან კონტაქტებს სამეურნეო დარგების ხელმძღვანელებთან, ბავშვების სწავლებისა და აღზრდის ინტერესების სამსახურში არ აბამენ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ვერ ახერხებენ მიიღონ მათგან საჭირო დახმარება და მათთან მჭიდრო კონტაქტში გადაწყვიტონ ადგილობრივი მასშტაბის პრობლემური საკითხები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების, ექვსწლიანთა სწავლებისა და დასვენების, ძილის, კვებისა და ტრანსპორტირების ორგანიზაციის შესახებ. სუსტია აგრეთვე სკოლების ურთიერთობა საბაზო დაწესებულებებთან და საშეფო ორგანიზაციებთან, მათთან კონტაქტები უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ვერ გასცდა ტრადიციულ ჩარჩოებს და ვერ გადაიქცა შემოქმედებითად გააზრებულ და ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობად.

დღეს, როცა განსაკუთრებული მოთხოვნებია წაყენებული დაწყებითს კლასებში სამუშაოდ შესაფერისი და მაღალკვალიფიციური კადრების შესარჩევად, მაინც აქვს ადგილი სერიოზულ დარღვევებს ამ თვალსაზრისით, რადგან ბევრი მათგანი, თვით უმაღლესდამთავრებულთა შორის, არასპეციალისტია. უფრო მეტიც, დუშეთის რაიონში ((ამხ. ვლ. გოგოლაური) სოფელ ხახმატის დაწყებითს სკოლაში მასწავლებლად მუშაობს სოფელ ბარისახოს სკოლა-ინტერნატის კურსდამთავრებული, ხოლო სოფელ წკერე-მუღურის დაწყებითს სკოლაში მასწავლებლად დანიშნულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი, რაც ყოვლად დაუშვებელია.

კოლეგია თვლის, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები პედსაბ-როვანი პრინციპულობითა და მომთხოვნელობით არ იხილავენ პედსაბ-ჭოებსა და განათლების საბჭოს სხდომებზე საკითხებს ექვსწლიანთა სწავლების, აღზრდის, მათთვის საჭირო ყველა პირობით უზრუნველ-ყოფის მდგომარეობის შესახებ, არასაკმარისი უკუგებით უზრუნველ-ყოფენ საჭირო კონტაქტებს ჯანმრთელობის დაცვისა და ვაჭრობის ადგილობრივ ორგანოებთან, არ სახავენ შესაბამის ღონისძიებებს და ნაკლებად ზრუნავენ მდგომარეობის უსწრაფესად გამოსწორებაზე. აღნიშნული მუშაობა ხასიათდება ზერელობითა და ზედაპირულობით, მოკლებულია კონკრეტულობასა და საგნობრიობას. არასაკმარისი მონ-დომებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქართველოს სსრ მი-ნისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 7 მაისის საოქმო (№ 13) გადაწყვეტილების შესასრულებლად საჭირო საქმიანობის ორგანიზა-ციას.

არასაკმარისი ოპერატიულობით, მიზანდასახული და შედეგიანი საქმიანობით ხასიათდება განათლების სამინისტროს სკოლების სამმარ-თველოს მუშაობა ადგილებზე ექვსწლიანთათვის საჭირო პირობების შექმნის მდგომარეობის შესწავლის, ღრმა ანალიზისა და მის საფუ-ძველზე შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელების აუცილებ-ლობის თვალსაზრისით.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ სა-სკოლო რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად ექვსწლიან ბავშვთა სწა-ვლებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად გაწეული მუშაობა ჩა-ითვალოს არასაკმარისად.

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამი-ნისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს:

2. 1. დაუყოვნებლივ შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტუ-ლი ღონისძიებები ექვსწლიანთათვის საჭირო პირობების შესაქმნე-ლად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლამდელ დაწესებულე-ბათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, ექვსწლიანთა კვე-ბის, დასვენების, გართობისა და ძილის ორგანიზაციისათვის, მკაც-რად დაიცვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 25 აპრილის № 234 ბრძანებით გათვალისწინებული ყველა მო-თხოვნა.

2. 2. მკაცრად იქნენ გაფრთხილებული სახალხო განათლების ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილობრივ განყოფილებათა გამგეები, რომ ისინი პერსონალურად აგებენ პასუხს ექვსწლიანთათვის საჭირო პირობების შექმნის, ამ საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მდგომარეობაზე.

2. 3. იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, სადაც უჭირთ ექვსწლიანთათვის საჭირო პირობების შესაქმნელად დამატებითი ოთახების გამოყოფა, ფართოდ გამოიყენონ აღნიშნული კონტინგენტის ძილის, კვებისა და დასვენებისათვის ტერიტორიულად მათთან ახლოს მდებარე დაუტვირთავი სკოლამდელი დაწესებულებების შესაძლებლობები.

2. 4. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ გახანგრძლივებულ დღის სკოლებსა და ჯგუფებში ექვსწლიანთათვის სათანადო პირობების უზრუნველსაყოფი საკითხების ოპერატიულად მოგვარებას.

2. 5. იმ დამოუკიდებელი, დაწყებითი და რვაწლიანი სკოლების მოსწავლეთათვის, სადაც არ არის კვების ბლოკები, გამოიყენონ საზკვების ობიექტები. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების დახმარებით უზრუნველყონ აღნიშნული ობიექტების მიზანმიმართული და შეუფერხებელი მუშაობა, მკაცრად დაიცვან სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები.

2. 6. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მცირეკომპლექტიანი სკოლების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს, მათი ფუნქციონირების სირთულეებისა და თავისებურებების მაქსიმალური გათვალისწინებით.

2. 7. როგორც დროებითი ზომა, ჩაითვალოს დასაშვებად, რვაწლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების ორცვლიანი რეჟიმის შემოღება ექვსწლიანთათვის სწავლის, დასვენებისა და ძილისათვის აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით, ამასთან, აღმასკომებთან შეთანხმებით უზრუნველყონ 1990 წლამდე არსებული მატერიალური ბაზის გაუმჯობესება სასკოლო შენობებზე მიშენება-დაშენების სამუშაოების ორგანიზების გზით.

3. მიზანშეწონილად ჩაითვალოს განათლების სამინისტროს კოლეგიის ერთ-ერთ მომდევნო სხდომაზე აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრის (ამხ. თ. კოლონია) და ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსის (ამხ. კ. სუჯაშვილი) ინფორმაციების მოსმენა სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად ექვსწლიანთა სწავლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად სახალხო განათლების ორგანოების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

4. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (უფროსის მოვალეობათა შემსრულებელი ამხ. ო. ქავთარაძე) უზრუნველყოს სასკოლო დგამ-ავეჯის საჭირო რაოდენობით დამატებით შემოზიდვა და სათანადო წესით რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებზე მისი განაწილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაცია ადგილებიდან წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისად.

5.კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. თ. ქევხიშვილი) და საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი) ჩაატარონ მოსამზადებელი სამუშაო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 7 მაისის საოქმო (№ 13) გადაწყვეტილების მე-3 მუხლის შესასრულებლად.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. ე. ქურციკიძე) უზრუნველყოს რესპუბლიკის სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების საქმიანობის ღრმა, საგნობრივი შესწავლის ორგანიზაცია თერთმეტწლიანი სკოლის პირველ კლასებში ექვსწლიანთა სწავლების, აღზრდის, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და სამედიცინო უზრუნველყოფის მდგომარეობის პერიოდული შესწავლა და სამინისტროს კოლეგიაზე აქტუალური საკითხების მოსმენის ორგანიზაცია. მანვე სკოლამდელი აღზრდის სამმართველოსთან (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) და სამეცნიერო-მეთოდურ სამსახურებთან ერთად შეიმუშაოს „სკოლა — საბავშვო ბაღის" დებულება მიმდინარე წლის 1-ლ ოქტომბრამდე და წარმოუდგინოს სამინისტროს კოლეგიას დასამტკიცებლად.

7. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986—1987 სასწავლო წლისათვის ექვსწლიანთა პირველი კლასების დაუტვირთავ სკოლამდელ დაწესებულებებში გახსნასთან დაკავშირებით დამატებით 1,5 მლნ. მანეთის ასიგნებათა გამოყოფის შესახებ.

8. ეთხოვოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (ამხ. გ. ლეჟავა) უზრუნველყოს პირველ კლასებში შემსვლელ ექვსწლიან ბავშვთა დისპანსერიზაციის დროული დამთავრება, დააწესოს ექვსწლიანებზე სისტემატური სამედიცინო ზედამხედველობა და დახმარება, დააწესოს მკაცრი კონტროლი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა მიერ სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების განუხრელად დაცვაზე.

9. ეთხოვოს საქართველოს სსრ სატყეო და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს (ამხ. მ. უჩანეიშვილი) უზრუნველყოს მაღალხარისხოვანი სასკოლო (მათ შორის ექვსწლიანთა ძილისა და დასვენებისათვის საჭირო) ავეჯის სათანადო რაოდენობითა და დადგენილი ნომენკლატურით წარმოების დაჩქარება.

10. ეთხოვოს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს (ამხ. ბ. მაყაშვილი) და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს (ამხ. თ. ხაჩიძე) განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებები ექვსწლიანთა სასკოლო ფორმის ტანსაცმლითა და სათამაშოებით უზრუნველსაყოფად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ეთხოვოს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს (ამხ. გ. ყიფიანი) საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა (ამხ. ა. მოვსესიანი) და „ცეკავშირის“ გამგეობას (ამხ. კ. შავიშვილი) განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა სასკოლო-სასწავლო ნივთებით, კვების მაღალხარისხოვანი პროდუქტებით, განსაკუთრებით ხორცით, რძით, რძის ნაწარმით, ბოსტნეულითა და ხილით შეუფერხებელი უზრუნველყოფისათვის, დამტკიცებული ნორმებისა და ასორტიმენტის ფარგლებში.

12. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. ლ. გაგუას და საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ცნობა

## სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად ექვსწლიან ბავშვთა სწავლებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის ივნისის დადგენილების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლისა და ექვსი წლის ასაკის ბავშვთა პირველ კლასში მიღების შესახებ“ შესაბამისად რესპუბლიკაში 1984—1985 სასწავლო წლიდან განხორციელდა თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლა და ექვსწლიანთა პირველ კლასში ჩარიცხვა იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც სათავეს 1966 წლიდან ლებულობს, ხოლო 1969—1970 სასწავლო წლიდან მასობრივად განხორციელდა ექვსწლიანთა მოსამზადებელ კლასში სწავლება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით.

რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ, სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით შრომატევადი სამუშაო შეასრულეს სასკოლო რეფორმის ამ მოთხოვნის სარეალიზაციოდ.

პირველ კლასებში ექვსწლიანთა მიღების საკითხის გადაწყვეტა ხდებოდა მშობელთა სურვილის გათვალისწინებით, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ გაცემული სამედიცინო ცნობების საფუძველზე.

სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს დაევალათ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ექვსწლიანთათვის გამოეყოთ ყველაზე ნათელი და კეთილმოწყობილი ოთახები სწავლის, გართობა-თამაშისა და ძილისათვის, განეხორციელებინათ საჭირო ღონისძიებები ექვსწლიანთათვის აუცილებელი და შესაფერისი დგამ-ავეჯით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების აღჭურვისათვის, საწოლებით, რბილი ინვენტარით, საბავშვო სათამაშოებით მომარაგებისათვის.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ვალდებული იყვნენ მოეწესრიგებინათ ცხელი კერძებით ექვსწლიანთა კვების საკითხი. განხორციელდა ღონისძიებები სასწავლო დაწესებულებებიდან 3 და მეტი კილომეტრის დაშორებით მცხოვრებ პირველკლასელ მოსწავლეთა უფასო ტრანსპორტირებისათვის.

რესპუბლიკის მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური და საქალაქო ინსტიტუტების ბაზაზე მომავალი 1986—1987 სასწავლო

წლისათვის გადამზადდებიან სულ 2300-მდე დაწყებითი კლასების მასწავლებლები, რომლებიც იმუშავებენ ექვსწლიანთა პირველ კლასებში, სადაც გაერთიანდება სულ 73400 ექვსწლიანი. მათგან სკოლამდელ დაწესებულებებში გახსნილ პირველ კლასებში ისწავლის 5954 ექვსწლიანი. 330 ათასიანი საერთო ტირაჟით მათთვის გამოიცემა 5 დასახელების სასკოლო სახელმძღვანელო, დაიბეჭდება აგრეთვე მასწავლებელთათვის 14 დასახელების მეთოდიკური რეკომენდაციები.

ექვსწლიანთათვის საჭირო პირობების გაუმჯობესებას მომავალი სასწავლო წლიდან განაპირობებს ისიც, რომ 1986-1987 სასწავლო წლისათვის ექსპლოატაციაში შევა ამჟამად მშენებარე 44 საშუალო და რვაწლიანი სკოლის შენობა, რისთვისაც გამოყოფილია 28,2 მლნ. მანეთი.

გარკვეული მუშაობა ჩატარდა იმ თვალსაზრისით, რომ შექმნილიყო ე. წ. სკოლა-კომპლექსები (სკოლა—საბავშვო ბაღი). ამ მხრივ დადებითი გამოცდილება დააგროვეს ჩოხატაურის (ამხ. ლ. თოდუა), საგარეჯოსა (ამხ. ნ. ჭანტურია) და წალენჯიხის (ამხ. ტ. ჯანჯღავა) რაიონებმა.

ექვსწლიანთათვის სათანადო პირობების შესაქმნელად საჭირო გახდა მაქსიმალურად ყოფილიყო გამოყენებული გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელი იმის მიუხედავად, რომ გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში მოსწავლეთა ჩაბმის მაჩვენებელი საერთო საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით ერთობ დაბალია.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის 3620 სკოლიდან მხოლოდ 21-ია გახანგრძლივებული დღის ტიპისა, ხოლო ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში I-VIII კლასელთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 10%-მდე მოსწავლეა ჩაბმული გახანგრძლივებული დღის ჯგუფში. კერძოდ, ქ. ქუთაისში ჩაბმულია მოსწავლეთა მხოლოდ 8.4%, ჭიათურაში — 6.5%, ქ. გორში — 8.7%, ქ. მარნეულში — 6%, ახალქალაქის რაიონში — 0,2%, ბოგდანოვკის რაიონში — 1.5%, გორის რაიონში — 4.1%, ზესტაფონის რაიონში — 8,3%, ყაზბეგის რაიონს საერთოდ არა აქვს გახანგრძლივებული დღის ჯგუფები, სამტრედიის რაიონში — 7,2%, თერჯოლის რაიონში — 8.2%, დამახასიათებელია, რომ რესპუბლიკის დაწყებითი სკოლებიდან არც ერთი არ არის გახანგრძლივებული დღის სკოლა და მხოლოდ 22 მათგანშია შექმნილი გახანგრძლივებული დღის 23 ჯგუფი, სადაც 633 მოსწავლეა გაერთიანებული, ანუ ამ ტიპის სკოლების მოსწავლეთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 4,4%.

მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში ექვსწლიანთა ჩაბმის პროცენტული მაჩვენებელი თანდათანობით იზრდება. ასე, მაგალითად, თუკი 1984—1985 სასწავლო წელს გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში I-III კლასების 83471 მოსწავლე, ე. ი. აღნიშნული კლასების მოსწავლეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო რაოდენობის 27,7% იყო ჩაბმული და მათ შორის 14712 ექვსი წლის ასაკის პირველკლასელი, ანუ მთელი კონტინგენტის მხოლოდ 22,6% — 1985—1986 სასწავლო წელს იმავე I-III კლასების 88025 მოსწავლე გააერთიანა გახანგრძლივებულმა დღის ჯგუფებმა, მათ შორის 28100 ექვსწლიანია, ანუ პირველკლასელთა საერთო რაოდენობის 30,2%. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ექვსწლიანთა მხოლოდ 49,2% იყო უზრუნველყოფილი ცხელი კერძებით.

1985—1986 სასწავლო წლისათვის გაიზარდა ექვსწლიან პირველკლასელთათვის საჭირო დგამ-ავეჯის, საწოლებისა და სხვა სახის სპეცინვენტარის შესაძენი თანხები, რის შედეგადაც მათთვის შეძენილ იქნა 12,0 ათასი მერხი, 4,0 ათასი საწოლი, 84,0 ათასი მანეთის სპეცინვენტარი გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისათვის და 150,0 მანეთის ღირებულების სხვადასხვა დასახელების ინვენტარი.

მაგრამ, ამასთან ერთად, გასული ორი სასწავლო წლის განმავლობაში რესპუბლიკის სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასკოლო რეფორმის განხორციელების ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი მიმართულება — ექვსწლიანთა პირველი კლასებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის მიზნით ჩატარებული მუშაობა — თავისი ტემპებითა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფით არ შეესაბამება სადღეისო მოთხოვნებს და შორს დგას სრულყოფისაგან. ნაკლოვანებები სერიოზული და დამაფიქრებელია, რომელთა შესახებ აღნიშნულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 7 მაისის სხდომაზე განხილული საკითხის „ექვსი წლის ასაკის ბავშვთა სწავლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად დამატებითი ზომების შესახებ“ (ოქმი № 13) მასალებშიც. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ საკავშირო პედაგოგიური პრესის, კერძოდ „უჩიტელსკაია გაზეტას“ უკანასკნელი პერიოდის პუბლიკაციები ამ თვალსაზრისით და რესპუბლიკის მისამართით მეტად მწვავე, კრიტიკული და ამავე დროს ობიექტურია.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაკლი, რომელიც რესპუბლიკის სკოლებს ახასიათებს, არის ის, რომ ჯერ კიდევ ფორსირებულად მიმდინარეობს სწავლებაში ექვსწლიანთა ჩაბმა, ისე, რომ არ ხდება ადგილებზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის, ექვსწლიანთათვის საჭირო საყოფაცხოვრებო პირობების, სამედიცინო მომსახურებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური უზრუნველყოფის საკითხების სათანადოდ გათვალისწინება, ზოგან კი უგულებელყოფილია ცხელი კერძებით პირველკლასელთა კვების ორგანიზაციისათვის საჭირო მოთხოვნების დაცვა.

ჯერ კიდევ მრავლად აღინიშნება შემთხვევები, როცა სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, ზოგადსაგანმანათლებლო სკო-

ლების დირექტორები კმაყოფილდებიან ექვსწლიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ წარმოდგენილი და უბნის ექიმის ხელმოწერით დამოწმებული სამედიცინო ცნობით, მაშინ როცა დებულებით მკაცრადაა რეგლამენტირებული სკოლისათვის ექვსწლიანთა მომზადებისათვის ღრმა სამედიცინო დისპანსერული გამოკვლევის შედეგად შედგენილი და სამედიცინო კომისიის მიერ ხელმოწერილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობების სკოლებში წარდგენის აუცილებლობა. აღინიშნება შემთხვევები, როცა ზოგიერთ ექვსწლიანს ღებულობენ და თვლიან ჯანმრთელად იმისდა მიუხედავად, რომ ბოლო წლის განმავლობაში მას გადატანილი აქვს ისეთი დაავადებები, რომელთა გამო მისი სწავლებაში ჩაბმა წინააღმდეგნაჩვენებია სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ 1985 წლის 25 იანვრის № 13 ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პირველ კლასში ექვსი წლის ასაკის ბავშვთა მიღების წესების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად.

აბაშის რაიონის (ამხ. ა. ცანავა) სკოლებში, მაგალითად, არა თუ ღრმა დისპანსერული შემოწმების შედეგად გაცემული სამედიცინო დასკვნებით, არამედ თვით სამედიცინო ფორმა № 26-ის გარეშე ჰყავთ სკოლის დირექტორებს ექვსწლიანი მოსწავლეები ჩარიცხული პირველ კლასში. რაც შეეხება ქ. თბილისის (ამხ. კ. სუჯაშვილი) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ექვსწლიან მოსწავლეთა მიღების საკითხს, დადგენილია, რომ დედაქალქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებებში რიგ შემთხვევებში კმაყოფილდებიან ექვსწლიანთა ნაკლებად ხარისხიანი დისპანსერიზაციით, ხოლო სკოლების დირექტორები აღნიშნულის შესახებ არავითარ პრეტენზიას არ აცხადებენ, რის გამოც ხშირია ჩვეულებრივ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სპეცსკოლაინტერნატებისათვის განკუთვნილი კონტინგენტის მიღება-ჩარიცხვის შემთხვევები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ექვსწლიანთა ღრმა სამედიცინო შემოწმებას სკოლებში ატარებენ მხოლოდ ერთხელ (ნაცვლად 2—3-ისა), ხოლო დედაქალაქის სახალხო განათლების ორგანოები არ მოითხოვენ მათგან დებულებით დადგენილი წესების დაცვას. ანალოგიური მდგომარეობაა რესპუბლიკის სხვა რაიონებსა და ქალაქებშიც.

რესპუბლიკის მეტ წილ სკოლებში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ყველა საჭირო პირობა ექვსწლიან პირველკლასელთა, ნორმალური სწავლის, გართობა-დასვენების, კვებისა და ძილის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ზოგან კი მხოლოდ ახლა იდგმება პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ახმეტის რაიონში (ამხ. ზ. წითელაური), სადაც არც ერთ სკოლაში არ არის შექმნილი მეტ-ნაკლებად ნორმალური პირობები ექვსწლიანთა მისა-

ლებად. ამის გამო, აქ განზრახული აქვთ 10 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დროებით ორცვლიან სწავლებაზე გადაყვანა. რაიონში არა-დამაკმაყოფილებლადაა ორგანიზებული ექვსწლიანთა კვების საქმეც. ბავშვები არ მარაგდებიან რძითა და რძის პროდუქტებით, ხილით, ბოსტნეულით, ხოლო მცირეკომპლექტიან სკოლებში მოუგვარებელია ბავშვთა კვების საკითხი.

საშეფო დახმარებას ვერ ღებულობენ გურჯაანის რაიონის (ამხ. ნ. ოთარაშვილი) საბჭოთა მეურნეობისაგან სოფლების შრომის, კალაურის, ვეჯინის, ბაკურციხის, კაჭრეთისა და სხვა დასახლებული პუნქტების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები.

ქ. გორის (ამხ. ნ. კახნიაშვილი) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს სათანადოდ არა აქვთ მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ექვსწლიანთა სწავლებისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად. აქ ჯერ კიდევ გადაუჭრელია პირველკლასელთა ძილის ორგანიზაციის პრობლემა, აკლიათ საწოლები, რბილი ინვენტარი, საბავშვო სათამაშოები და გასართობი ოთახების მოწყობილობა. მოძველებულია სასკოლო ინვენტარი; ქალაქის სკოლის დაწყებითი კლასებისათვის არ გააჩნიათ შრომითი სწავლების კაბინეტები.

ძალზე მძიმე მდგომარეობაა ექვსწლიანთა სწავლებისათვის საჭირო პირობების უქონლობის გამო წულუკიძის (ამხ. ო. ადამია), სამტრედიის, წითელწყაროს (ამხ. მ. ოზაშვილი), დუშეთის (ამხ. ვლ. გოგოლაური), საჩხერის (ამხ. გრ. აბჟანდაძე) რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

ადიგენის (ამხ. ზ. კუბლაშვილი) რაიონში კვალვ გადაუჭრელ პრობლემად რჩება ექვსწლიანთა პირველი კლასებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის საკითხები. ამასთან, არ არის შექმნილი ნორმალური პირობები ექვსწლიანთა გართობის, კვებისა და ძილისათვის. რაიონი განიცდის სასკოლო ფართობის მწვავე დეფიციტს, აგრეთვე პირველკლასელთათვის საჭირო ინვენტარისა და თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალის სიმცირეს. ისევე, როგორც სხვა რაიონებისათვის, მისთვის დამახასიათებელია რაიკოპკავშირის გამგეობის ნაკლები ზრუნვა მოსწავლეთა კვების ხარისხობრივი გაუმჯობესების საქმეში. ამ მხრივ გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ არასაკმარისად ეფექტურია. ანალოგიური მდგომარეობაა ახალციხის, ორჯონიკიძის (ამხ. შ. ღონღაძე), ასპინძის (ამხ. დ. ზედგენიძე), გეგეჭკორის (ამხ. ა. ხუროძე), მესტიის (ამხ. ზ. ზურებიანი), თეთრი წყაროს (ამხ. თ. მელაძე) და სხვა რაიონებშიც.

რესპუბლიკის მეტი წილი რაიონებისათვის დამახასიათებელია ექვსწლიანთა პირველი კლასებისათვის საჭირო მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრის მწვავე ნაკლებობა. დუშეთის რაიონში სოფელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხახმატის დაწყებითს სკოლაში მასწავლებლად მუშაობს ბარისახოს სკოლა-ინტერნატის კურსდამთავრებული, ხოლო სოფელ წკერე-მუღურეს დაწყებითს სკოლაში მასწავლებლად დანიშნულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ამდენად, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა განხორციელებისათვის წარმოებული მუშაობა ჯერ კიდევ არასრულყოფილია. ადგილებზე ძალზე ნელა ირჯებიან განათლების განყოფილებათა გამგეები, ისინი ვერ ამყარებენ ჯეროვან კონტაქტებს სამეურნეო დარგების ხელმძღვანელებთან, ბავშვების სწავლებისა და აღზრდის ინტერესების სამსახურში არ აბამენ წარმოება-დაწესებულებათა და საბჭოთა მეურნეობა-კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს, მათი დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით არ წყვეტენ სახალხო განათლების წინაშე რეგიონის, რაიონისა თუ ქალაქის მასშტაბით მდგარ და სასკოლო რეფორმის მოთხოვნებით გათვალისწინებულ პრობლემურ საკითხებს, რომლებიც ეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, ექვსწლიან პირველკლასელთათვის სწავლის და დასვენების, ძილის ორგანიზაციას, აგრეთვე საზოგადოებრივი კვების უზრუნველყოფის ამა თუ იმ პრობლემურსა თუ მიმდინარე, მათ შორის უმცროსკლასელთა, განსაკუთრებით კი ექვსწლიანთა ტრანსპორტირების გადაუდებელ ამოცანებს.

ჯერ კიდევ სუსტია წარმოება-დაწესებულებათა მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებებისათვის გაწეული მატერიალური დახმარება. მათი კონტაქტები სკოლებთან ვერ გასცდა ტრადიციულ ჩარჩოებს და ვერ გადაიქცა შემოქმედებითად გააზრებულ და ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობებად.

აღნიშნული და სხვა სახის ნაკლოვანებები მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონებისათვის, რის გამოც სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად ექვსწლიან ბავშვთა სწავლებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების მიერ ჩატარებული ორგანიზატორული მუშაობა არასაკმარისად უნდა იქნეს მიჩნეული.

**საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველო, სკოლების სამმართველო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება

## რესპუბლიკის პედაგოგიური პრესის ამოცანები სკკპ 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად და სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა სარეალიზაციოდ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, მოისმინა რა ინფორმაცია 1986 წლის 16 ივლისს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში ჩატარებული რესპუბლიკის პედაგოგიური პრესის მუშაკთა თათბირის შედეგების შესახებ, აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს რესპუბლიკის პედაგოგიური პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის მოთხოვნათა პრაქტიკული განხორციელების ამოცანების გაშუქებას, სწავლების ხარისხის ამაღლების, მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესებისა და შემდგომი სრულყოფის საკითხებს.

კოლეგია აღნიშნავს აგრეთვე, რომ მიუხედავად ზემოხსენებულისა, რესპუბლიკის პედაგოგიური პრესის მუშაობა ხასიათდება სერიოზული ნაკლოვანებებითა და ხარვეზებით, რომლებიც ხელს უშლიან სარედაქციო კოლეგიებს პროპაგანდისტული, საგანმანათლებლო-მეთოდური და ორგანიზატორული ფუნქციების სრულყოფილად და სადღეისო მოთხოვნათა დონეზე შესრულების საქმეში, სკკპ და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა და სასკოლო რეფორმის ძირითადი მიმართულებების განხორციელებისათვის რესპუბლიკის პედაგოგიური საზოგადოებრიობის დარაზმვისა და მისი სწორი, მეცნიერულ-პედაგოგიური და მეთოდიკური ორიენტაციის უზრუნველსაყოფად.

კოლეგია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პედაგოგიური პრესისადმი ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ მოკლებულია სისტემატურობას, თანამიმდევრულობას, საგნობრიობას, რომ განათლების სამინისტროსა და პედაგოგიური პრესის რედაქციებს შორის დღემდე არ არის დამყარებული საქმიანი, შემოქმედებითი და ჯეროვანი კონტაქტები. სწორედ ამიტომაა, რომ გაზეთმა „სახალხო განათლებამ", ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ", მისმა ყოველკვარტალურმა საგნობრივ დამატებათა რედაქციებმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვეს სახალხო განათლების სისტემის ძირეულ რგოლებთან, კერძოდ კი სკოლასთან მჭიდრო და შედეგიანი კონტაქტების დამყარება, რის გამოც პედაგოგიური პრესის ფურცლებზე მთელის სისრულით ვერაა წარმოდგენილი დღევანდელი სკოლის წინაშე მდგარი პრობლემები თუნდაც ექვს-

წლიანთათვის საჭირო პირობების შექმნის, მოზარდთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის, აგრეთვე საკადრო პოლიტიკის სრულყოფილად გააზრება-განხორციელების თვალსაზრისით და რომ ასევე არაა დასახული მათი გადაწყვეტის კონკრეტული გზები და საშუალებები.

ნაკლები ყურადღება ექცევა პუბლიკაციების იმგვარად მომზადების უზრუნველყოფას, რომლებშიც წარმოჩენილი იქნებოდა პრაქტიკოს მასწავლებელთა დადებითი გამოცდილება ან საქმიანი შენიშვნა-მოსაზრებები სასკოლო მუშაობის შემდგომი სრულყოფის საკვანძო საკითხებზე.

კოლეგია თვლის, რომ ჯერ კიდევ ძალზე სუსტია პედაგოგიური პრესის კრიტიკული გამოსვლების ქმედითობა, რომ არ არის შემუშავებული კრიტიკულ შენიშვნებზე ჯეროვანი კონტროლის განხორციელების სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემდა რედაქციებს პრაქტიკულად შეეწყოთ ხელი ადგილებზე არსებული ხარვეზების გამოსწორების, მასწავლებლისა და სკოლის შელახული ავტორიტეტის აღდგენისათვის. პედაგოგიური პრესის პუბლიკაციებს აკლია პოლიტიკური სიმწვავე და პრინციპულობა აღზრდაში დაშვებულ შეცდომებზე ჯეროვანი რეაგირების თვალსაზრისით. სკოლის სინამდვილეში ჯერ კიდევ არსებული ბიუროკრატიული რეციდივების, კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევისა თუ მოზარდთა დანაშაულის აღკვეთისათვის. პრესის ფურცლებზე იშვიათად იბეჭდება ისეთი მეთოდური წერილები, რომლებიც მოწოდებულია პრაქტიკული დახმარება გაუწიოს პედკოლექტივებს ამ მიმართულებით მუშაობის სრულყოფაში.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის პედაგოგიური პრესა ნელი ტემპით ეძიებს და სრულყოფს განათლების სამინისტროს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა ოპერატიული ინფორმირებისა და პროპაგანდის ეფექტურ საშუალებებს და აღნიშნავს იმასაც, რომ მის ფურცლებზე ძალზე მცირე ადგილი ეთმობა პოლემიკას, დისკუსიას სასწავლო პროგრამებისა და სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენის უახლესს პრინციპებზე და სხვ.

კოლეგიას მიაჩნია, რომ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების", მისი ყოველკვარტალური საგნობრივი დამატებების სარედაქციო კოლეგიათა შემადგენლობები ძირეულ ცვლილებებს მოითხოვს. კოლეგიას მიზანშეწონილად მიაჩნია ისიც, რომ სარედაქციო კოლეგიებში წარმოდგენილი არ არიან სახალხო განათლების პრაქტიკოსი მუშაკები, პედაგოგიური ფსიქოლოგიისა და ეთიკის, დეფექტოლოგიის, სამართალმცოდნეობის დარგის სპეციალისტები.

კოლეგია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის პედაგოგიური პრესა ჯერ კიდევ ვერ ახერხებს სრულყოფილად, პოლიტიკური სიმწვავითა და ოპერატიულობით იბრძოდეს სახალხო განათლების დარგ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ში დამკვიდრებული და სოციალურად ისეთი საშიში მოვლენების წინააღმდეგ, როგორიცაა უშრომელი შემოსავალი, ძღვენომანია, მექრთამეობა, ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი, მოჩვენებითობა, პარადულობა, ვერ უზრუნველყოფს მეტი დამაჯერებლობით წარმოაჩინოს იმ პედაგოგიური კოლექტივების მიღწევები, სადაც თვისებრივად გარდაიქმნება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, იბადება ახალი ინიციატივა, მკვიდრდება მოწინავე პედაგოგიური სულისკვეთება, ისახება აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია.

კოლეგია მიიჩნევს, რომ ჯერ კიდევ სუსტია რესპუბლიკის პედაგოგიური მეცნიერებისა და პედაგოგიური პრესის ორმხრივი კონტაქტები და რომ მხოლოდ მათი შემოქმედებითი კავშირურთიერთობისა და საერთო ძალისხმევის პირობებშია შესაძლებელი სახალხო განათლების დარგის წინაშე მდგარი პრობლემების ეფექტიანი გადაწყვეტის ოპტიმალური გზებისა და ვარიანტების ძიება, საბოლოო წარმატებათა მოპოვება

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიღებულ იქნეს ცნობად ინფორმაცია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში 1986 წლის 16 ივლისს ჩატარებული რესპუბლიკის პედაგოგიური პრესის მუშაკთა თათბირის შედეგების შესახებ.

2. პედაგოგიური პრესის რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, რ. ძერია) საგნობრივ ყოველკვარტალურ დამატებებთან ერთად:

—მეტი ქმედითი დახმარება გაუწიონ პრაქტიკოს მასწავლებლებს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფაში მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების ფართო პროპაგანდით, სწავლებისა და აღზრდის ნოვატორული მეთოდების დანერგვისათვის სააგიტაციო და ორგანიზატორული საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების პირობებში;

— გააძლიერონ სასკოლო ცხოვრებაში დამკვიდრებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა, უზრუნველყონ მწვავე, კრიტიკული პუბლიკაციების მისამართების კონკრეტულობა, დასაბუთებულად გამოკვეთონ სკოლის სინამდვილეში არსებულ პრობლემათა დაძლევის კონკრეტული გზები და საშუალებები;

— წინა პლანზე წამოსწიონ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი-პოლიტიკური, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის საკვანძო საკითხები, უფრო ქმედითი პროპაგანდა გაუწიონ ამ მიმართულებით რესპუბლიკის სკოლებში დაგროვილ დადებით პედაგოგიურ გამოცდილებას, იზრუნონ ამ გამოცდილების სათანადოდ განზოგადება-გავრცელებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დააჩქარონ მკითხველთა ინფორმირების ტემპები, უზრუნველყონ პუბლიკაციათა ოპერატიულობა, მიზანმიმართულობა, რათა ყოველმა მოვლენამ, ფაქტმა, სიახლემ სწრაფად მიაღწიოს ძირეულ რგოლებამდე და იქცეს თითოეული პედაგოგის, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაკთა ინფორმატიულ კუთვნილებად;

— ნიადაგ იზრუნონ რედაქციებში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გასაჯანსაღებლად, თითოეული ჟურნალისტის ზნეობრივი სახის გამოსაკვეთად; აამაღლონ ამ მხრივ რედაქციების ხელმძღვანელ მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობა;

— სადღეისო მოთხოვნათა შესაბამისად აამაღლონ გაზეთისა და ჟურნალის ყოველი ნომრის თემატური დაგეგმვისა და ტექნიკური გაფორმების დონე, ყოველი ახალი ნომრის შინაარსის წინასწარი განხილვა-დამტკიცება, როგორც წესი, მოხდეს სარედაქციო კოლეგიების წევრთა უმრავლესობის დასწრებითა და განხილვაში აქტიური მონაწილეობის პირობებში (საოქმო ჩანაწერების გაფორმებითურთ);

— საგნობრივ ყოველკვარტალურ დამატებებთან ერთად მჭიდრო, საქმიანი კონტაქტები დაამყარონ სკოლასთან, მასწავლებლობასთან, ღრმად და საგნობრივად წარმოაჩინონ მათ წინაშე მდგომი პრობლემები, პედაგოგიური მეცნიერების სადღეისო მიღწევების გათვალისწინებით მიაწოდონ მკითხველებს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის თვისებრივი გარდაქმნის დასაბუთებული რეკომენდაციები;

— ძირფესვიანად გარდაქმნან პრაქტიკოს მასწავლებლებთან მუშაობის ფორმები და მეთოდები, უფრო მოქნილი, რაციონალური და შედეგიანი გახადონ ისინი, ფართო ადგილი დაუთმონ მათს დადებით პედაგოგიურ გამოცდილებას. ზედმიწევნით გაითვალისწინონ ღირებული მოსაზრებები, წინადადებები, შენიშვნები;

— მიაღწიონ იმას, რომ ჟურნალის საგნობრივი ყოველკვარტალური დამატებები კონკრეტულ დახმარებას უწევდნენ საგნის მასწავლებლებს, ნიადაგ იზრდებოდეს პუბლიკაციათა უკუგება იმ თვალსაზრისით, რომ მეცნიერულად დასაბუთებული ესა თუ ის კონკრეტული რჩევა ან რეკომენდაცია ეხმარებოდეს თითოეულ პედაგოგს სასწავლო პროცესის აქტივიზაციაში, მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალის ათვისების დონის ამაღლებაში;

— დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სასკოლო ბიბლიოთეკების მეშვეობით პედკოლექტივების მიერ ცალკეული ნომრების პუბლიკაციათა საჯარო განხილვა-შეფასებისა და დასკვნების გამოტანის უზრუნველსაყოფად, გამოთქმული შეფასებების, წინადადებებისა და შენიშვნების შემდგომს მუშაობაში გასათვალისწინებლად;

— უზრუნველყონ პედაგოგიური პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ კრიტიკულ შენიშვნებზე შესაბამისი დაწესებულებებისა და

ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკების რეაგირების შედეგების შესახებ საინფორმაციო მასალების წარმოდგენა ყოველი კვარტალის ბოლოსათვის.

3. დაწესდეს ჯეროვანი კონტროლი საგნობრივ დამატებათა ხელმძღვანელების სარედაქციო საქმიანობაზე, ყოველმხრივ ამაღლდეს მათი პერსონალური პასუხისმგებლობა თითოეულ პუბლიკაციაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანად კვლავაც იქნეს მიჩნეული საგნობრივ ყოველკვარტალურ დამატებათა ხელმძღვანელობის განმტკიცების აუცილებლობა კვალიფიციური კადრებით, რომლებსაც ექნებათ ძიების უნარი, სიახლის გრძნობა და პედაგოგიური ალღო. გადაიდგას საჭირო ნაბიჯები მეცნიერ მუშაკებით, მწერლებით, პედაგოგიური ფსიქოლოგიისა და ეთიკის, დეფექტოლოგიის, სამართალმცოდნეობის დარგის სპეციალისტებითა და სახალხო განათლების სისტემის პრაქტიკოსი მუშაკებით რედკოლეგიების შემადგენლობათა გადახალისებისა და განათლების სამინისტროს კოლეგიაზე დამტკიცებისათვის.

4. რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის სამეცნიერო დაწესებულებების, პედაგოგიური პრესის, სასწავლო-მეთოდური სამსახურისა და სამინისტროსთან არსებული სასწავლო-მეთოდური საბჭოების საქმიანობის კოორდინაციის, მათდამი ხელმძღვანელობისა და კონტროლის შემდგომი სრულყოფის მიზნით, სკოლების სამმართველოსთან შეიქმნას „სამეცნიერო დაწესებულებათა და პედაგოგიური პრესის სექტორი“. მისი ხელმძღვანელობა დაეკისროს ამხ. ჰ. გ. ჩხენკელს, სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილეს და შეყვანილ იქნეს იგი გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ სარედაქციო კოლეგიების შემადგენლობაში. მანვე, ერთი თვის ვადაში, წარმოადგინოს აღნიშნული სექტორის დებულება განათლების სამინისტროს კოლეგიაზე დასამტკიცებლად.

5. დაწესდეს რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის სამეცნიერო დაწესებულებათა, პედაგოგიური პრესის — გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ სარედაქციო კოლეგიების სამუშაო გეგმების დამტკიცებასა და შესრულებაზე ქმედითი კონტროლი — ყოველი სასწავლო წლის ბოლოსათვის განათლების სამინისტროს კოლეგიაზე დარგის სამეცნიერო დაწესებულებათა და პედაგოგიური გაზეთისა და ჟურნალის რედაქტორების ანგარიშების მოსმენით.

6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით (№ 15—13 დ) დამტკიცდა ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ სარედაქციო კოლეგიის ახალი შემადგენლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, სკოლამდელმა და სკოლისგარეშე დაწესებულებებმა, სახალხო განათლების ადგილობრივმა განყოფილებებმა უზრუნველყონ საგნობრივ მეთოდგაერთიანებათა, პედსაბჭოებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე გაზეთ „სახალხო განათლების“ მნიშვნელოვანი პუბლიკაციებისა და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ (დამატებებითურთ) მასალების პერიოდული, საფუძვლიანი განხილვა და მნიშვნელოვანი მიმართულებების, რეკომენდაციებისა და სიახლეების სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისათვის მისადაგება, ხელი შეუწყონ პედაგოგიური კოლექტივების მიერ აღნიშნული პუბლიკაციებისა და მასალებისადმი საერთო დამოკიდებულების გამომუშავებას, მათი მეცნიერული ცოდნის დონის ამაღლებისა და მეთოდური დახელოვნების შემდგომი სრულყოფის უზრუნველსაყოფად, პრაქტიკულ საქმიანობაში მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გამოსაყენებლად.

8. კოლეგიის ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

9. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. ლ. გაგუას და სამეცნიერო დაწესებულებათა და პედაგოგიური პრესის სექტორის ხელმძღვანელს ამხ. ჰ. ჩხენკელს.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება

### სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის ზოგიერთი საკითხის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის ზოგიერთი საკითხის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა-წ ყ ვ ი ტ ა:

1. აღდგენილ იქნეს 1986—1987 სასწავლო წლიდან რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების მეოთხედური სისტემა და IV-X (XI) კლასებში შემოღებულ იქნეს გადასაყვანი და საშემოდგომო გამოცდები.

2. სკოლების სამმართველომ (ამხ. ე. ქურციკიძე) და საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი):

2. 1. შეიმუშაონ წინადადებები გადასაყვანი და საშემოდგომო გამოცდების ორგანიზაციის თაობაზე, უზრუნველყონ სკოლები გადასაყვანი გამოცდების ბილეთებითა და სათანადო განმარტებებით.

2. 2. მოამზადონ და კოლეგიას ა/წ 1-ლ სექტემბრამდე დასამტკიცებლად წარუდგინონ მეოთხედური, წლიური და საბოლოო შეფასების ნიშნების დადგენის წესი. სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებთან ერთად სწავლების მეოთხედურ სისტემასთან შესაბამისობაში მოიყვანონ ყველა სასკოლო დოკუმენტი, უზრუნველყოფენ მათს წარმოებაზე კონტროლი.

3. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. შ. ამონაშვილი), საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკურმა სასწავლო-მეთოდურმა კაბინეტმა მოამზადონ და ა/წ 15 სექტემბრამდე განათლების სამინისტროში წარმოადგინონ მეთოდიკური რეკომენდაციები სწავლების მეოთხედური სისტემის პირობებში სასკოლო მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია) მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო გეგმებში გაითვალისწინოს ცვლილებები სწავლების მეოთხედური სისტემის აღდგენასთან დაკავშირებით.

5. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) ა/წ 20 აგვისტომდე უზრუნველყოს სასკოლო დოკუმენტაციის დროულად, საჭირო რაოდენობით დაბეჭდვა და სკოლებამდე, სახალხო განათლების ორგანოებამდე დაყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ განუხრელად იხელმძღვანელონ აღნიშნული გადაწყვეტილებით, უზრუნველყონ სასკოლო პრაქტიკაში მისი განხორციელება.

7. გადაწყვეტილების ტექსტი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (ამხ. ნ. შველიძე), დაიბეჭდოს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში, გამრავლდეს და დაეგზავნოს ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებებს.

8. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე განახორციელოს საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,<br>
**მინისტრი ნ. შ. ვასაძე**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება

### 1986—1990 წლებში გამოსაცემი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის პერსპექტიული გეგმის განხილვა-დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, განიხილა 1986—1990 წლებში გამოსაცემი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის პერსპექტიული გეგმის პროექტი, აღნიშნა, რომ იგი გამომდინარეობს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნილებებიდან, რესპუბლიკის ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით სრული უზრუნველყოფის ამოცანებიდან.

ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის შედგენას წინ უსწრებდა რესპუბლიკის სკოლებში არსებული სასწავლო-მეთოდური ლიტერატურისა და მოკავშირე რესპუბლიკების პედაგოგიურ გამომცემლობათა თემატური გეგმების გულმოდგინე ანალიზი.

გეგმის შედგენას საფუძვლად დაედო განათლების სამინისტროს აპარატის სამმართველო-განყოფილებათა, სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალ სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა, აგრეთვე, უმაღლესი სკოლების საგნობრივი კათედრებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა მიერ წარმოდგენილი წინადადებანი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის მომზადებისა და გამოცემის თაობაზე.

სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის მოცულობა განისაზღვრა შესაბამისი საგნის სწავლებაზე ტიპური სასწავლო გეგმით გამოყოფილი სასწავლო საათების რაოდენობით, საგნის სპეციფიკისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით.

აღნიშნულ პერსპექტიულ გეგმაში ჩართულია, აგრეთვე, ის თემებიც, რომელთა მიხედვით დღეისათვის არ არის შერჩეული ავტორი (ავტორთა კოლექტივი).

მომავალ ხუთწლედში გამოსაცემი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის წლიური გეგმა შედგება აღნიშნული პერსპექტიული გეგმის საფუძველზე, ამასთან, კოლეგია აღნიშნავს, რომ შესაბამისი გრიფისა და დასაბეჭდად რეკომენდაციის მისაღებად, წლიურ გეგმაში შესატანი ყველა ხელნაწერი წინასწარ უნდა განიხილოს განათლების სამინისტროსთან არსებულმა სასწავლო-მეთოდურმა საგნობრივმა საბჭოებმა.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით „1986—1990 წლებში გამოსაცემი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის პერსპექტიული გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) მომავალი ხუთწლეულის წლიური გეგმები შეადგინოს მოცემული პერსპექტიული გეგმის საფუძველზე.

მანვე, სასკოლო რეფორმის ძირითადი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე ყველა საჭირო შემთხვევაში მოახდინოს პერსპექტიული გეგმის კორექტირება.

3. აღნიშნული პერსპექტიული გეგმის ერთი პირი გაეგზავნოს გამომცემლობა „განათლებას“ (ამხ. ლ. ხუნდაძე).

4. კონტროლი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის წლიური გეგმების შედგენაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს (ამხ. ლ. ი. გაგუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
**მინისტრი ნ. შ. ვასაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება

## 1987—1988 სასწავლო წლისათვის დასაბეჭდი სახელმძღვანელოების სიისა და ტირაჟების განხილვა-დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, განიხილა რა 1987—1988 სასწავლო წლისათვის დასაბეჭდი სახელმძღვანელოების სია და ტირაჟები, აღნიშნა, რომ სია შედგენილია იმ პრინციპების დაცვით, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა მოითხოვს თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლისა და სახელმძღვანელოთა ფონდირების ოთხწლიანი გრაფიკის გათვალისწინებით (მასალა თან ერთვის).

აღნიშნა, რომ 1987—1988 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დაიბეჭდება 84 დასახელების სახელმძღვანელო, მათ შორის 23 — ახალი, 60 — ფერადი, ხოლო გადამუშავებული — 3.

რესპუბლიკაში მოქმედი უფასო სახელმძღვანელოების გამოცემის გრაფიკის შესაბამისად სახელმძღვანელოები დაიბეჭდება შემდეგი რაოდენობით (პროცენტებში): I კლასი — 101%, II-III კლასებისათვის 101%-ით დაიბეჭდება „წერის დედნები“ და „დაკვირვების დღიურები, IV კლასი — 120%, ფონდირების პირველი წელი (თერთმეტწლიანი სკოლა, V კლასისათვის 101%-ით დაიბეჭდება მხოლოდ ორწლიანი სწავლებისათვის განკუთვნილი „ბოტანიკა“, VI—VII კლასები — 40%, ფონდირების მესამე წელი, VIII-IX კლასებისათვის დაკვიანებული ფონდირებით, 120%-ით დაიბეჭდება 12 დასახელების სახელმძღვანელო, ხოლო ორწლიანი სწავლებისათვის განკუთვნილი 4 სახელმძღვანელო დაიბეჭდება დაწყებითი კლასის კონტინგენტზე, 101%-ით, X კლასი — 120%, ფონდირების პირველი წელი.

რესპუბლიკის რუსული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დაიბეჭდება 6 დასახელების სახელმძღვანელო, მათ შორის — 2 ახალი, ხოლო 1 — გადამუშავებული.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით 1987—1988 სასწავლო წლისათვის დასაბეჭდი სახელმძღვანელოების სია და ტირაჟები.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ გამსახკომს (ამხ. ვ. ბაქრაძე) აღნიშნული სიით გათვალისწინებული სახელმძღვანელოების გამოცემა 1987 წლის 1 ივლისისათვის.

3. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი):

— მოსწავლეთა კონტინგენტის, საგნის მასწავლებელთა და სკო-

ლათა რაოდენობის გათვალისწინებით მოახდინოს აღნიშნული სახე-გათვალისწინებული სახელმძღვანელოების განაწილება რესპუბლიკის სახალხო განათლების განყოფილებებზე;

— არსებული წესის დაცვით უზრუნველყოს სახელმძღვანელოებით რკინიგზის სკოლები, პროფტექგანათლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, უმაღლესი სკოლების მოსამზადებელ განყოფილებათა მსმენელები, სკოლისგარეშე დაწესებულებები;

— 1987 წლის 19 მარტს ჩაატაროს სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდებზე მომუშავე მეთოდისტების რესპუბლიკური თათბირ-სემინარი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის განაწილებისა და ლიმიტების საკითხებზე;

— 1987 წლის 1-ლი აპრილისათვის უზრუნველყოს გამოყოფილ სახელმძღვანელოთა ლიმიტების სკოლებამდე დაყვანა;

— სისტემატური კონტროლი დააწესოს სიით გათვალისწინებული სახელმძღვანელოებისა და პროგრამების ბეჭდვაზე, მათს დროულ ტრანსპორტირებაზე; აღნიშნულის მიმდინარეობის შესახებ მოახსენოს კოლეგიას 1987 წლის 1-ლ ივლისსა და 21 აგვისტოს.

4. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. ლ. ი. გაგუას.

5. აღნიშნული გადაწყვეტილება (დანართთან ერთად) გამოქვეყნდეს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ჰაჩაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1

## 1987—1988 სასწავლო წლისათვის გამომცემლობა „განათლების" ხაზით გამოსაცემი სახელმძღვანელოების სია და ტირაჟები

| №№ | ავტორი და დასახელება | ვარგისი გამოცემები | ტირაჟი |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| | **I კლასი** | | |
| 1 | რამიშვილი ვ. — დედაენა (ანბანი) | 1981—1987 | 70.0 |
| 2 | რამიშვილი ვ. — კლასგარეშე საკითხავი წიგნი | 1981—1987 | 70.0 |
| 3 | ბაკურაძე შ. და სხვ. — მათემატიკა | 1978—1987 | 70.0 |
| 4 | ნიორაძე ვ. და სხვ. — ვისწავლოთ რუსულად ლაპარაკი | 1979—1987 | 70.0 |
| 5 | ღარიბაშვილი მ. — გარე სამყაროს გაცნობა | 1985—1987 | 70.0 |
| | **II კლასი** | | |
| 6 | თოფურია ვ. — ქართული წერის დედანი, II-IV კლასები | 1984—1987 | 67,0 |
| 7 | ღარიბაშვილი მ. — დაკვირვების დღიური | 1983—1987 | 67,0 |
| 8 | ღარიბაშვილი მ. — გარე სამყაროს გაცნობა | 1986—1987 | 67,0 |
| 9 | ნიორაძე ვ. და სხვ. — ვსწავლობთ რუსულად წერას | 1986—1987 | 67,0 |
| | **III კლასი** | | |
| 10 | მუჯირი ჯ. — მუსიკის სახელმძღვანელო | 1984—1987 | 40,0 |
| 11 | ხუნდაძე შ. — დაკვირვების დღიური | 1981—1987 | 65,0 |
| 12 | ნიორაძე ვ. და სხვ. — ვსწავლობთ რუსულად წერას | 1986—1987 | 70.0 |
| | **IV კლასი (თერთმეტწლიანი სკოლა)** | | |
| 13 | რამიშვილი ვ. — ქართული ენა | 1983—1987 | 82,0 |
| 14 | რამიშვილი ვ. — კლასგარეშე საკითხავი წიგნი | 1983—1987 | 82,0 |
| 15 | რამიშვილი ვ. — ქართული ენა, გრამა- | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| | ტიკა, მართლწერა და მეტყველების განვითარება | 1983—1987 | 82,0 |
| 16 | ნიორაძე ვ. და სხვ. — რუსსკოე სლოვო | ახალი | 82,0 |
| 17 | ტყემალაძე ტ. — მათემატიკა | 1981—1987 | 82,0 |
| 18 | ნიორაძე ვ. და სხვ. — ვსწავლობთ რუსულად წერას | ახალი | 70.0 |
| 19 | დონდუა გ. და სხვ. — ბუნებისმოცდნეობა, IV-V კლასები | ახალი | 82,0 |
| 20 | ღარიბაშვილი მ. — დაკვირვების დღიური | 1983—1987 | 70,0 |
| | **IV კლასი (ათწლიანი სკოლა)** | | |
| 21 | ხუნდაძე შ. — დაკვირვების დღიური | 1983—1987 | 65,0 |
| 22 | მეტრეველი რ. და სხვ. — ჩვენი სამშობლო | ახალი | 72,0 |
| | **V კლასი** | | |
| 23 | კორჩაგინა ვ. ა. — ბოტანიკა, V-VI კლასები | 1985—1987 | 40,0 |
| | **VI კლასი** | | |
| 24 | კეკელიძე პრ. და სხვ. — მშობლიური ლიტერატურა | 1983—1987 | 28,0 |
| 25 | შანიძე აკ. და სხვ. — ქართული ენა | 1984—1987 | 28,0 |
| 26 | მაკარიჩევი ი. და სხვ. — ალგებრა | 1986—1987 | 28,0 |
| 27 | ბათიაშვილი ე. და სხვ. — რუსული ენა | 1986—1987 | 28,0 |
| 28 | პოგორელოვი ა. — გეომეტრია, VI-X კლასები | 1983—1987 | 80,0 |
| 29 | პერიშკინი ა. და სხვ. — ფიზიკა, VI-VII კლასები | 1982—1987 | 40,0 |
| 30 | კოზახიძე და სხვ. — ზოოლოგია, VI-VII კლასები | 1985—1987 | 40,0 |
| 31 | აგიბალოვა ვ. და სხვ. — შუა საუკუნეების ისტორია | 1986—1987 | 28,0 |
| 32 | კორინსკაია ვ. და სხვ. — კონტინენტების გეოგრაფია | 1986—1987 | 28,0 |
| 33 | კოზახიძე ვ. — ფიზიკის ამოცანათა კრებული, VI-VII კლასები | 1964—1987 | 40,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 34 | კრავეიშვილი მ. და სხვ. — ინგლისური ენა | 1983—1987 | 10,0 |
| 35 | ლებანიძე ე. — ფრანგული ენა | 1983—1987 | 5,0 |
| 36 | ზოლოტარიოვა ფ. და სხვ. — გერმანული ენა | 1983—1987 | 13,0 |
| | **VII კლასი** | | |
| 37 | კეკელიძე კრ. — მშობლიური ლიტერატურა | 1983—1987 | 28,0 |
| 38 | შანიძე აკ. და სხვ. — ქართული ენა | 1985—1987 | 28,0 |
| 39 | ბერიძე ლ. და სხვ. — რუსული ენა | ახალი | 70,0 |
| 40 | მაკარიჩევი ი. და სხვ. — ალგებრა | 1986—1987 | 28,0 |
| 41 | ბრადისი ვ. — ოთხნიშნა მათემატიკური ცხრილი | 1956—1987 | 28,0 |
| 42 | მატუსოვი ა. და სხვ. — სსრკ ფიზიკური გეოგრაფია | ახალი | 70,0 |
| 43 | ხოდაკოვი ი. და სხვ. — არაორგანული ქიმია, VII-VIII კლასები | 1986—1987 | 70,0 |
| 44 | რიბაკოვი — სსრკ ისტორია | 1986—1987 | 28.0 |
| 45 | ბოტვინიკოვი ა. და სხვ. — ხაზვა, VI-VIII კლასები | 1986—1987 | 70,0 |
| 46 | ასათიანი ნ. და სხვ. — საქართველოს ისტორია, VII-VIII კლასები | ახალი | 70,0 |
| 47 | ჯავახიშვილი ა. — საქართველოს სსრ ფიზიკური გეოგრაფია | 1985—1987 | 28.0 |
| 48 | ჯაფარიძე ზ. — ინგლისური ენა | 1984—1987 | 10,0 |
| 49 | კავკასიძე თ. და სხვ. — გერმანული ენა | 1984—1987 | 13,0 |
| 50 | ჩოჩია კ. და სხვ. — ფრანგული ენა | 1984—1987 | 5,0 |
| | **VIII კლასი** | | |
| 51 | ბარამიძე ბ. და სხვ. — ძველი ქართული ლიტერატურა | 1943—1987 | 40,0 |
| 52 | შანიძე აკ. და სხვ. — ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია | 1943—1987 | 40,0 |
| 53 | ახვლედიანი ბ. და სხვ. — რუსული ენა | 1943—1987 | 40,0 |
| 54 | მაკარიჩევი ი. და სხვ. — ალგებრა | ახალი | 70,0 |
| 55 | ცუზმერი ა. და სხვ. — ადამიანი | ახალი | 70,0 |
| 56 | კიკოინი ი. და სხვ. — ფიზიკა | ახალი | 70,0 |
| 57 | დავიდოვი ბ. — საბჭოთა სახელმწიფოს სამართლის საფუძვლები | ახალი | 70,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | |
|---|---|---|---|
| 58 | სტროევი კ. და სხვ. — სსრკ ეკონომიკური გეოგრაფია | 1983—1987 | 30,0 |
| 59 | გოლდფარბი ი. და სხვ. — ქიმიის ამოცანათა კრებული VIII-X კლასები | 1982—1987 | 60,0 |
| 60 | რიმკევიჩი ა. და სხვ. — ფიზიკის ამოცანთა კრებული VIII-X კლასები | 1982—1987 | 60,0 |
| 61 | ჯაოშვილი ვ. და სხვ. — საქართველოს სსრ ეკონომიკური გეოგრაფია | გადამუშავებული | 70,0 |
| | **IX კლასი** | | |
| 62 | კეკელიძე პრ. და სხვ. — ქართული ლიტერატურა | 1955—1987 | 50,0 |
| 63 | დევდარიანი კ. და სხვ. — ქართული ლიტერატურის ქრესტომათია | 1955—1987 | 50,0 |
| 64 | ახვლედიანი გ. და სხვ. — რუსული ენა | 1955—1987 | 40,0 |
| 65 | ახვლედიანი გ. და სხვ. — რუსული ლიტერატურა | 1955—1987 | 40,0 |
| 66 | კოლმოგოროვი ა. და სხვ. — ალგებრა და ანალიზის საწყისები, IX-X კლასები | ახალი | 80,0 |
| 67 | ხოდაკოვი ი. და სხვ. —არაორგანული ქიმია | ახალი | 160,0 |
| 68 | ბუხოვცევი ვ. და სხვ. — ფიზიკა | ახალი | 80,0 |
| 69 | კუკუშკინი ი. — სსრკ ისტორია | ახალი | 80,0 |
| 70 | პოლიანსკი ი. და სხვ. — ზოგადი ბიოლოგია, IX-X კლასები | 1984—1987 | 60,0 |
| 71 | მაქსაკოვსკი ი. და სხვ. — საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფია | 1983—1987 | 50,0 |
| 72 | გაჩეჩილაძე რ. და სხვ. — ინგლისური ენა | ახალი | 32,0 |
| 73 | შათირიშვილი შ. და სხვ. — გერმანული ენა | ახალი | 40,0 |
| 74 | ქადეიშვილი ნ. და სხვ. — ფრანგული ენა | ახალი | 15,0 |
| | **X კლასი** | | |
| 75 | ჟღენტი ბ. და სხვ.—ქართული ლიტერატურა XIX-XX სს. | 1967—1987 | 90,0 |
| 76 | კეკელიძე პრ. და სხვ. — ქართული ლიტერატურის ქრესტომათია | 1971—1987 | 90,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 77 | ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ გ. და სხვ. — რუსული ენის გრამატიკა | 1957—1987 | 90,0 |
| 78 | ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ ტ. და სხვ. — რუსული ლიტერატურა | 1955—1987 | 90,0 |
| 79 | ᲛᲘᲐᲙᲘᲨᲔᲕᲘ გ. და სხვ. — ფიზიკა | ახალი | 90,0 |
| 80 | ᲪᲕᲔᲢᲙᲝᲕᲘ ლ. და სხვ. — ორგანული ქიმია | 1984—1987 | 40,0 |
| 81 | ავტორთა კოლექტივი — საზოგადოებათმცოდნეობა | ახალი | 90,0 |
| 82 | ᲤᲣᲠᲐᲔᲕᲘ ვ. და სხვ. — უახლესი ისტორია. II ნაწილი | ახალი | 90,0 |
| 83 | ᲙᲣᲙᲣᲨᲙᲘᲜᲘ — სსრკ ისტორია | 1985—1987 | 90,0 |
| 84 | ᲮᲐᲠᲐᲫᲔ ე. — ასტრონომია | გადამუშავებული | 90,0 |

**რუსული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| 85 | ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲐᲜᲘ ა. და სხვ. — ქართული ენა, IV კლასი (თერთმეტწლიანი სკოლა) | 1983—1987 | 30,0 |
| 86 | ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ პ. და სხვ. — ქართული ენა, VI კლასი | 1982—1987 | 13,0 |
| 87 | ᲩᲘᲜᲩᲐᲚᲐᲫᲔ მ. და სხვ. — ქართული ენა, VII კლასი | 1982—1987 | 13,0 |
| 88 | ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ ნ. და სხვ. — საქართველოს ისტორია, VII-VIII კლასები | ახალი | 50,0 |
| 89 | ᲑᲔᲠᲘᲫᲔ ბ. და სხვ. — ქართული ენა, X კლასი | ახალი | 30,0 |
| 90 | ᲯᲐᲝᲨᲕᲘᲚᲘ ვ. და სხვ. — საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, VIII კლასი | გადამუშავებული | 30,0 |

**ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | დაწყებითი კლასებისათვის II-IV კლასი (ქართული, მათემატიკა, გარე სამყაროს გაცნობა, ფიზიკური კულტურა, შრომითი აღზრდა) | | 20,0 |
| 2 | რუსული ენა და ლიტერატურა, I-IV კლასები | | 20,0 |
| 3 | რუსული ენა და ლიტერატურა, V-XI კლასები | | 20,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 4 | მათემატიკა, V-XI კლასები | | 20,0 |
| 5 | ფიზიკა | | 20,0 |
| 6 | ქიმია | | 20,0 |
| 7 | ბიოლოგია | | 20,0 |
| 8 | საზოგადოებათმცოდნეობა | | 20,0 |
| 9 | გეოგრაფია | | 20,0 |
| 10 | ისტორია (ძველი, შუა საუკუნეების, ახალი, სსრკ, უახლესი, მსოფლიოს) | | 25,0 |
| 11 | უცხოური ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური) | | 20,0 |
| 12 | შრომითი აღზრდა, VIII კლასი | | 20,0 |
| 13 | შრომითი აღზრდა, IX-XI კლასები | | 20,0 |
| 14 | ასტრონომია | | 20,0 |
| 15 | ფიზიკური აღზრდა | | 20,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1986 წლის 24 ივლისის ბრძანება № 207

### რესპუბლიკური საგნობრივი ოლიმპიადების ჩატარების შესახებ

1986—1987 სასწავლო წელს რესპუბლიკური ოლიმპიადები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში (არარუსულ სკოლებში), მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში ორგანიზებულად, დებულებების სრული შესაბამისობით ჩატარდა.

ოლიმპიადების დასკვნით ტურებში, რომლებიც 1987 წლის მარტში ჩატარდა, მონაწილეობა მიიღო ზონალურ ტურებში გამარჯვებულმა მე-8—მე-10 კლასების 1549 მოსწავლემ. მათგან წარმატებით შეასრულა დავალებები და დიპლომები დაიმსახურა 589 მოსწავლემ, აქედან მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში — 217-მა, რუსულ ენასა და ლიტერატურაში —242-მა, მათემატიკაში — 29, ფიზიკაში — 46-მა და ქიმიაში — 55 მოსწავლემ.

კარგად მომზადებული მოსწავლეები მოვიდნენ დასკვნით ტურებზე ქ. ქ. თბილისიდან, სოხუმიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან, რუსთავიდან, ფოთიდან და რესპუბლიკის ზოგი რაიონიდან.

წარმატებით გამოვიდნენ მათემატიკისა და ფიზიკის საკავშირო ოლიმპიადებზე რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრები — 6 მოსწავლიდან დიპლომები დაიმსახურა სამმა. ერთი მათგანი ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მეათეკლასელი გ. ნიკოლაიშვილი ფიზიკის საერთაშორისო ოლიმპიადის კანდიდატი გახდა ჯერ კიდევ გასულ წელს ჩატარებული საკავშირო ოლიმპიადის შედეგების მიხედვით.

რესპუბლიკური ოლიმპიადების დასკვნითი ტურების მონაწილეთა მიღების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისა და თვით ტურების ორგანიზებულად ჩატარების საქმეში კარგი მუშაობა გასწიეს ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურმა საშუალო სკოლა-ინტერნატმა, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა, განათლების სამინისტროს რესპუბლიკურმა სასწავლო-მეთოდურმა კაბინეტმა, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურმა სასახლემ, რომელთა ბაზაზე ტარდებოდა ოლიმპიადები და ქ. თბილისის 1-მა, 23-ე, მე-60, 63-ე საშუალო სკოლებმა, სადაც ოლიმპიადების თეორიული და ექსპერიმენტული ტურები ჩატარდა.

ამასთან ერთად, ოლიმპიადების შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის ზოგ სკოლაში დაბალ დონეზე ისწავლება მშობლიური ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა არარუსულ სკოლებში, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია. ნაკლები ყურადღება

ეროვნული ბიბლიოთეკა

უქცევა მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას ფაკულტატივისა და კლასგარეშე მუშაობის გზით, რის გამოც მოსწავლეებს უჭირთ მხატვრული ნაწარმოების არსში წვდომა, საკუთარი ნააზრევის მწყობრად, თანმიმდევრულად გადმოცემა, ფაქტებისა და მოვლენების განზოგადება; სუსტია მოსწავლეთა წერის კულტურა რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მეტად შეზღუდულია მათი ლექსიკონი; ჯერ კიდევ დიდია იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომელთაც მათემატიკური აზროვნების დაბალი დონე აქვთ. იმის გამო, რომ სკოლებში ჯერ კიდევ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ლაბორატორიულ-პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას ფიზიკასა და ქიმიაში, მოსწავლეთა დიდი ნაწილი დამოუკიდებლად ვერ ატარებს ფიზიკურ და ქიმიურ ექსპერიმენტებს. საუკეთესო მოსწავლეებმაც კი არ იციან მარტივი ხელსაწყოების ხმარება, ნივთიერებათა თვისებები, გარდაქმნები და გამოცნობა; მეტად ზერელე წარმოდგენა აქვთ რაოდენობით და თვისებით ანალიზზე.

სასკოლო, რაიონული და ზონალური ტურების ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტები აშკარად ლიბერალურად ეკიდებიან ოლიმპიადის შემდგომი ეტაპისათვის მოსწავლეთა შერჩევას, სათანადო კონტროლს არ აწესებენ მათს დამოუკიდებელ მუშაობაზე; ნამუშევრებს ასწორებენ ლიბერალურად და ამით ხელოვნურად ზრდიან დასკვნით ეტაპზე მონაწილეთა რაოდენობას.

ქიმიის ოლიმპიადის დასკვნით ტურზე დაბალი მომზადების მოსწავლეები გამოაგზავნეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, ახალციხის, ლაგოდეხის, თელავის, თეთრი წყაროს, ხობის, წალენჯიხის რაიონებმა.

სახალხო განათლების განყოფილებებმა, ოლიმპიადების მომწყობმა და ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა საჭირო ორგანიზატორული მუშაობა ვერ გაწიეს მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ასამაღლებლად და ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, რის გამოც მშობლიური ენისა და ლიტერატურის ოილმპიადის დასკვნით ტურზე მონაწილეობა ვერ მიიღეს მოსწავლეებმა ქ. ქ. გაგრიდან, ტყვარჩელიდან, ოჩამჩირის, აბაშის, ახალქალაქის, ადიგენის, ქარელის და სხვა რაიონებიდან. ფიზიკის ოლიმპიადაზე წარმოდგენილი არ იყო ქ. ქ. ზუგდიდი, წყალტუბო, ლაგოდეხის, გურჯაანის, წალენჯიხის, ზუგდიდის, კასპის, ახმეტის, გორის და სხვა რაიონები. იგივე ითქმის ახალციხის, ახმეტის, ვანის, გურჯაანის, ყვარლის, მაიაკოვსკის, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, თერჯოლის, ხაშურის, თეთრი წყაროს (მათემატიკის ოლიმპიადა), მარნეულის, აბაშის, ადიგენის, დუშეთის, გორის, ზესტაფონის, ქარელის, ლანჩხუთის, წალკის, წითელწყაროს, ჩოხატაურის (ქიმიის ოლიმპიადა) რაიონებზე.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ცხაკაიას, გეგეჭკორის, გარდაბნის, თიანეთის, მახარაძის, კასპის, ბორჯომისა და ხაშურის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა ნორჩ ქიმიკოსთა 39-ე ოლიმპიადის დასკვნით ტურზე ქ. თბილისში მოსწავლეები გამოგზავნეს ხელმძღვანელების გარეშე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ზოგი რაიონის განათლების განყოფილების ამ საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას.

1986—1987 სასწავლო წელს საგნობრივი ოლიმპიადების მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ოლიმპიადის ჟიურის გადაწყვეტილების საფუძველზე მაღალი წარმატებების მოპოვებისათვის დიპლომებით დაჯილდოვდეს 589 მოსწავლე, მათ შორის:

მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში — 217 მოსწავლე, რუსულ ენასა და ლიტერატურაში — 242 მოსწავლე, მათემატიკაში — 29 მოსწავლე. ფიზიკაში — 46 მოსწავლე, ქიმიაში — 55 მოსწავლე.

2. 1986—1987 სასწავლო წელს ყველა ოლიმპიადის სასკოლო ტურები ჩატარდეს დეკემბერში, რაიონული (საქალაქო) — იანვარში. სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ტურების ჩატარების თარიღები განსაზღვრონ რაიონების (ქალაქების) სახალხო განათლების განყოფილებებმა.

ზონალური ტურები ჩატარდეს: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში — 25 იანვარს, ფიზიკაში — 1 თებერვალს, ქიმიაში — 8 თებერვალს, მათემატიკაში — 15 თებერვალს, რუსულ ენასა და ლიტერატურაში — 22 თებერვალს.

დასკვნითი ტურები ჩატარდეს: ფიზიკაში — 23-24 მარტს, ქიმიაში — 25-26 მარტს, მათემატიკაში — 27-28 მარტს, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში — 29 მარტს, რუსულ ენასა და ლიტერატურაში — 30 მარტს.

3. ოლიმპიადების საერთო ხელმძღვანელობისათვის შეიქმნას რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ლ. გაგუა — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე (თავმჯდომარე)

გ. გორგოშიძე — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

ე. ქურციკიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი (თავმჯდომარის მოადგილე)

თ. ტატიშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველოს უფროსი

ა. ალავერდაშვილი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერების განყოფილების გამგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ. ამონაშვილი — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

ე. ზარქუა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი

თ. ყლენტი — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი

გ. ვარდოსანიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი

მ. გოგიტიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის დირექტორი

აკ. ცხადაია — თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორი

ლ. ჯაში — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი

ლ. შეწირული — თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი

4. დამტკიცდეს მშობლიური ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის ოლიმპიადების რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტების შემადგენლობა (დანართი 1-5).

5. რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტებმა:

5. 1. სისტემატური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს ოლიმპიადების მომზადებისა და ჩატარების საქმეში.

5. 2. შეარჩიონ და კომიტეტის სხდომებზე დაამტკიცონ ოლიმპიადების ჟიურის შემადგენლობა ოლიმპიადების დასკვნითი ტურების მონაწილე მოსწავლეთა ნამუშევრების შემოწმება-შეფასებისა და გამარჯვებულთა გამოსავლინებლად.

5. 3. ორგანიზაცია გაუკეთონ რესპუბლიკური ოლიმპიადების დასკვნითი ტურების ჩატარებას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებების შესაბამისად.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

6. 1. განიხილონ რესპუბლიკური ოლიმპიადების რაიონული (საქალაქო), ზონალური და დასკვნითი ტურების შედეგები, ანალიზი გაუკეთონ გაწეულ მუშაობას და ქმედითი ღონისძიებები გაატარონ ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრისათვის.

6. 2. გაზარდონ სკოლების პასუხისმგებლობა ოლიმპიადებისათვის მოსწავლეთა მომზადების საქმეში; მეტი მომთხოვნელობა წაუყენონ

ამ მიმართებით მეთოდურ კაბინეტებს და ოლიმპიადების ჩამტარებელ ადგილობრივ საორგანიზაციო კომიტეტებს.

6. 3. არ დაუშვან ხელმძღვანელის გარეშე მოსწავლეთა გამოგზავნა ოლიმპიადების ზონალურ და დასკვნით ეტაპებზე.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ ოლიმპიადების დასკვნითი ტურების ჩასატარებლად გამოყოს ტიპოგრაფიული ქაღალდი წარდგენილი განაცხადის შესაბამისად.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის, თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის, რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის 1987 წლის ბიუჯეტებში გაითვალისწინოს ოლიმპიადების ჩატარებისათვის საჭირო ხარჯები დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. ე. ქურციკიძე):

9. 1. 1985 წლის ბოლომდე დასამტკიცებლად წარმოადგინოს ოლიმპიადების ჩატარების ხარჯთაღრიცხვები, ხოლო 1987 წლის თებერვალში — ოლიმპიადების დასკვნითი ტურების ჩატარების გეგმები.

9. 2. კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება.

მინისტრი ნ. შ. ვახაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1

**მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მე-20 რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა:**

ს. ხუციშვილი — თსუ ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის პროფესორი (თავმჯდომარე)

ზ. ბურდილაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი (თავმჯდომარის მოადგილე)

ვ. გასპარიშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი (თავმჯდომარის მოადგილე)

თ. კვაჭანტირაძე — ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" დამატების „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" რედაქტორი, დოცენტი

რ. გაბეჩავა — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკათა სექტორის გამგე, დოცენტი

ნ. რუხაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი (მდივანი)

ვ. ტურძელაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი

ქ. გვაზავა — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილების გამგე

ნ. სამნიაშვილი — გორის რაიონის სოფელ შინდისის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი

დ. ბერიძე — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკათა კათედრის დოცენტი

მ. ანდრიაძე — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის გამგე

ნ. ბუაძე — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

თ. ჯაფოშვილი — თბილისის 123-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

მ. მურადოვი — გარდაბნის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი

ვ. გრიგორიანი — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მეთოდისტი

დანართი 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსული ენისა და ლიტერატურის მე-7 რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა

კ. მაჭარაშვილი — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი (კომიტეტის თავმჯდომარე)

ნ. გიორგობიანი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი (თავმჯდომარის მოადგილე)

ლ. ბაჩიაშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი (მდივანი)

ი. ბექანოვა — თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი

ნ. გელეყვა — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის რუსული ლიტერატურის კაბინეტის გამგე

ლ. ივანოვა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი

მ. მაისურაძე — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მეთოდისტი

ლ. მწარიაშვილი — თბილისის პირველი მაისის სახელობის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის მეთოდისტი

ა. ნასიბოვი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

ა. ნემსაძე — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

თ. როსტიაშვილი — თბილისის 124-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი

მ. ურდია — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სასწავლო დაწესებულებათა განყოფილების მეთოდკაბინეტის მეთოდისტი

ლ. ჩინჩალაძე — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნორჩ მათემატიკოსთა 31-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა:

ჭანტურია ზ. ა. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი

გიორგობიანი გ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი (თავმჯდომარის მოადგილე)

მუსერიძე ლ. ლ. — თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი (მდივანი)

თოფურია ს. მ. — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე, პროფესორი

ბალაბანოვი ვ. ბ. — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე

ლომსიანიძე ზ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე

ოვნანიანი რ. დ. — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მათემატიკის კაბინეტის გამგე

ერაძე გ. თ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის დირექტორის მოადგილე

ცხადაია ა. ლ. — თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორი

გოლოძე ლ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი

ხარაბაძე ვ. გ. — მცხეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის მეთოდისტი

მოშაშვილი რ. ს. — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 4

## ნორჩ ფიზიკოსთა მე-40 რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა

ცინცაძე ნ. ლ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

კიკაბიძე ლ. თ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი, თავმჯდომარის მოადგილე

როსტომაშვილი გ. თ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი

ხაზარაძე ო. ს. — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

სურამლიშვილი გ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის, ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი

კიკნაძე ჯ — თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი (მდივანი)

ვადაჭკორია კ. — თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდისტი

მიხელაშვილი თ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

ცხადაია დ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცინერ თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### დანართი 5

## ნორჩ ქიმიკოსთა მე-40 რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა

თ. გ. ანდრონიკაშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

ზ. ა. ლომსიანიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ა. გ. ზაქარიაშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

გ. გ. ცინცაძე — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის გამგე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

გ. გ. ჭირაქაძე — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორგანული ქიმიის კათედრის გამგე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ი. გ. ბახტაძე — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმიის კათედრის დოცენტი

ქ. გ. კემულარია — ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

ნ. ნ. ვეკუა — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკათა კათედრის გამგე, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი

ლ. ა. თევზაძე — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკათა კათედრის მეთოდისტი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი

ლ. გ. ეფრიკაშვილი — ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი

მ. მ. დემეტრაშვილი — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმიის კათედრის დოცენტი

ლ. ვ. ლიაშენკო — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმიის კათედრის დოცენტი

შ. გ. კაპანაძე — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკათა კათედრის მეთოდისტი

ლ. ვ. მაქაცარია — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი

ნ. ა. ჩალაგაშვილი — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი

მ. ი. გოდერძიშვილი — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელი

მ. გ. მამიაშვილი — თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი

თ. კაჭარავა — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი

გ. გ. შახნაზაროვი — თბილისის 63-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ექსპერიმენტული მუშაობის ორგანიზაციის მოწესრიგების შესახებ . 3

გადაწყვეტილება — უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების შესრულების შესახებ . . . 14

გადაწყვეტილება — მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების განვითარების კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმის შესახებ . . . . . 17

გადაწყვეტილება — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების მე-6 რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ . . 24

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების 1985—1986 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა ოქროსა და ვერცხლის მედლით დაჯილდოების შესახებ . . . . . . . 26

გადაწყვეტილება — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა მე-19 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მე-20 რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ . . . . . . . . 27

Решение — Об итогах XIX Республиканской оплимпиады учащихся по родному языку и литературе и подготовке к XX олимпиаде . . 33

დებულება სახვითი ხელოვნების სტუდიების ;წრეების) შესახებ . . 39

გადაწყვეტილება — სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად ექვსწლიან ბავშვთა სწავლებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ 53

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის პედაგოგიური პრესის ამოცანები სკკპ 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად და სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა სარეალიზაციოდ . . . . . . . 66

გადაწყვეტილება — სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის ზოგიერთი საკითხის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . 72

გადაწყვეტილება — 1986—1990 წლებში გამოსაცემი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის პერსპექტიული გეგმის განხილვა-დამტკიცების შესახებ . 74

გადაწყვეტილება — 1987—1988 სასწავლო წლისათვის დასაბეჭდი სახელმძღვანელოების სიისა და ტირაჟების განხილვა-დამტკიცების შესახებ . . 76

ბრძანება № 207 — რესპუბლიკური საგნობრივი ოლიმპიადების ჩატარების შესახებ . . . . . . . . . 84

ქ. 39/3

20178

ეროვნული
ბიბლიოთეკა